



შირაქი

SHIRAKI

www.open.ge

გამოცემის 1937 წლიდან

დადოვლისწყაროს მენიხიპალიზაციის გაზეთი

№1 (9.763)

14-21 იანვარი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

რას
გულისხმობს
საბანკო
კრედიტების
ლარიზაციისა
და
სუბსიდირების
პროგრამა
მმ.8

საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქის საუბრაო ეპისტოლე



მმ.4

(ავტო) სიკვდილის არითმეტიკა მმ.7



მსახიობოზაზა
არ
მიოცნებია...
მმ.5



39 წლის შემდეგ
მმ.2 ფიროსმანის
სურათს „სვირი“
დამთვალეიერებელი
პირველად ნახავს

„გაიტანეთ ბრენლანდია!“ მმ.6



1 ივლისიდან
კომერციული
რეკლამის
უცხოურ
მმ.2 ვალუტაში
გამონატვა
დასჯადი გახდება

გამოიწერეთ გაზეთი
„შირაქი“
2017 წლისთვის გაზეთ „შირაქის“
პერიოდულობა კვლავ ყოველკვი-
რეული იქნება, რვაგვერდიანი და
ფერადი. გამოწერის ღირებულება
მთელი წლით 15 ლარი ელირება, 6
თვით - 7,50 ლარი.
გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“
- შეიტყუეთ ყველაფერი
დადოვლისწყაროში მიმდინარე
მოვლენების შესახებ.

„კახეთის საათი“
„ოზიეჰიზა“

ახალი დროით
კვირა 12:30

გიორგი კვირიკაშვილი - არსებობს ინფორმაცია, რომ გარკვეულ კლუბებში ქართველ მამაკაცებს არ უშვებენ, მიხდა დაფავალო შს მინისტრს ამ დისკრიმინაციული მიდგომით დაინტერესდეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრს ავალებს, გარკვეულ კლუბებსა და ბარებში ადგილობრივი მამაკაცების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომებით დაინტერესდეს.

როგორც კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, „ვარდების მოედნის“ ქვემოთ მდებარე ბარებსა თუ სხვადასხვა ობიექტში ხდება კანონდარღვევები.

„ამ კუთხით იყო პრობლემები ადრე. შემდეგ ჩვენ გარკვეული ძალისხმევა გავსწავით, მაგრამ როგორც ეტყობა, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. მე მიხდა დაფავალო შინაგან საქმეთა მინისტრს და სამინისტროს, დაინტერესდეს ამ პრობლემით. საუბარია იმაზე, რომ ხდება დისკრიმინაციული მიდგომა. როგორც მე ვიცი, ადგილობრივი მამაკაცებს არ უშვებენ ამ ობიექტებში და სამწუხაროდ, უშვებენ მხოლოდ მანდილოსნებს. ეს ძალიან მძიმე საკითხია. მე მიხდა ყველანაირი ცხელი ემოციებისგან ჩვენ თავი შევიკავოთ და კანონის კუთხით მივუდგეთ ამ საქმეს. ჩვენ მივიღეთ ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც, სამწუხაროდ, გაშუქდა, რომ არის მხოლოდ ნეგატიური შედეგების მატარებელი, მაგრამ მე მიხდა ვთქვა, რომ ამ კანონით ჩვენ გვაქვს საშუალება ასეთ შემთხვევებში დავიცვათ ჩვენი უფლებები. ჩვენ არ გვყავს დასაკარგი არც ერთი ახალგაზრდა. ამიტომ მე სრული კატეგორიულობით ვითხოვ ამ პრობლემის მოგვარებას ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო უწყებებისგან. ყველანაირი რეიდების, ძალადობრივი ქმედებების გარეშე, კანონის სრული გამოყენებით და ამოქმედებით, მიხდა, რომ ეს პრობლემა იყოს მოგვარებული უმოკლეს პერიოდში“, - განაცხადა პრემიერმა.

კვირიკაშვილმა ასევე სთხოვა ადამიანის უფლებების საკითხში თანამშრომლობა, სოფიო ჯაფარიძეს, დაინტერესდეს ამ საკითხით და შეისწავლოს, რამდენად დაცულია საქართველოს კანონმდებლობა ასეთ ობიექტებში.

„თუ ეს არის დახურული ტიპის კლუბი, მაშინ მას უნდა ჰქონდეს განაწესი, რომელიც იქნება საჯარო და ხელმისაწვდომი ყველასთვის, რა კრიტერიუმებით ხდება ადამიანების შერჩევა იქ შესვლისთვის. ხოლო თუ ეს არის ღია, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი, მაშინ იგი მთლიანად უნდა დაექვემდებაროს იგივე ანტიდისკრიმინაციული კანონის თვალსაზრისით და არ დაარღვიოს საქართველოს კანონმდებლობა. იმასაც ვიტყვი, რომ ჩვენ ასეთი არც ტურისტები გვინდა და არც დამატებითი შემოსავალი, რომელიც საქართველოს კანონს არად დაგვიდევს“, - განაცხადა პრემიერმა.

1 ივლისიდან კომერციული რეკლამის უცხოურ ვალუტაში გამოხატვა დასჯადი გახდება

კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 ივლისიდან მენარმეების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ქონების რეალიზაციის ანდა მომსახურების გაწევის შეთავაზებისა და რეკლამირების დროს ფასის გამოხატვა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარში იქნება დასაშვები. ამ წესიდან გამონაკლის შემთხვევებს საქართველოს ეროვნული ბანკი დაადგენს.

აღნიშნული მოთხოვნის დარღვევისას, პირველ შემთხვევაში მენარმე გაფრთხილებას მიიღებს, 1 წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში 1000 ლარით დაჯარიმდება, ხოლო მესამედ ან უფრო მეტჯერ ჩადენისას - ყველა ცალკეულ შემთხვევაში 5000 ლარით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ოქმის შედგენას და დამრღვევისათვის სახდელის დაკისრებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირები უზრუნველყოფენ.

ევროპარლამენტი საქართველოს მოქალაქეებისთვის უფიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებას კენჭს 2 თებერვალს უყრის

ევროპარლამენტი პლენარულ სესიაზე საქართველოს მოქალაქეებისათვის უფიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებას კენჭს მიმდინარე წლის 2 თებერვალს უყრის. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამის შესახებ აღნიშნულია ევროპარლამენტის თებერვლის თვის დღის წესრიგში.

„მივესალმებით, რომ ევროკავშირის ინსტიტუტებში საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისთვის საჭირო პროცედურები შეუფერხებლად, მაქსიმალურად ოპერატიულად მიმდინარეობს. როგორც ცნობილია 12 იანვარს ევროპარლამენტის სამოქალაქო თავისუფლების, მართლმსაჯულების და საშინაო საკითხების კომიტეტში (LIBE) კენჭი ეყარა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხს და დამტკიცდა შესაბამისი რეგულაციის საბოლოო ტექსტი“, - ნათქვამია ევროპარლამენტის მიერ გამოქვეყნებულ დღის წესრიგში.

რუსეთმა თავისი გაიტანა - საქართველო რუსეთიდან სომხეთში გაზის ტრანზიტისას ნედლეულის სანაცვლოდ ფულს მიიღებს

ქართული მხარე რუსეთიდან სომხეთში გაზის ტრანზიტის საფასურის გადახდის ფორმასთან დაკავშირებით „გაზპრომს“ მოთხოვნას დათანხმდა.

„გაზპრომს“ ექსპორტის საბოლოო წინადადება მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განიხილეს და როგორც ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ განაცხადა, ხელშეკრულების ახალი პირობების შესაბამისად გაფორმების გადაწყვეტილება მიიღეს.

„დღეს მთავრობის სხდომაზე განვიხილეთ „გაზპრომ ექსპორტის“ საბოლოო წინადადება სომხეთში ბუნებრივი აირის ტრანზიტთან დაკავშირებით. როგორც მოგეხსენებათ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა დასრულებულია, თუმცა რამდენიმე რაუნდის მოლაპარაკებების შედეგად ჩვენ შევეცდით „გაზპრომ ექსპორტისგან“, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ოპტიმალური წინადადების მიღება. მთავრობამ იმსჯელა ამ წინადადებაზე და მიიღო ხელშეკრულების გაფორმების გადაწყვეტილება. ამ ხელშეკრულებით საქართველოს დამოკიდებულება რუსეთის ენერჯეტიკის მიმართ არ იზრდება. იცვლება მხოლოდ გადახდის ფორმა, რაც გულისხმობს ნედლეულით ანაზღაურების ნაცვლად საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ფულად ანაზღაურებაზე გადასვლას. რაც შეეხება საქართველოსთვის გადასახდელ ტრანზიტის საფასურს, ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ევროპის ქვეყნებს შორის. ასევე, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, სეზონური დეფიციტის დასაკმაყოფილებლად, მივიღოთ ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობა შემცირებულ ფასად - 215 დოლარის ნაცვლად 185 დოლარად“, - განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ხელშეკრულება ორწლიანია, თუმცა პირველ წელს ნაწილობრივ ისევ რჩება ნედლეულით ანაზღაურების ფორმა, ხოლო შემდგომ გაგრძელდება ფულადი ანგარიშსწორება.

„ეს იყო ოპტიმალური გადაწყვეტილება არსებული ვითარების გათვალისწინებით. საქართველო პატივს სცემს საერთაშორისო პრინციპებსა და სამართლებრივ ნორმებს, რაც მისი, როგორც სატრანზიტო ფუნქციის მქონე ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“, - განაცხადა კალაძემ.

რაც შეეხება ტრანზიტის საფასურს, კალაძე კონკრეტული ციფრის დასახელებისგან თავს იკავებს, თუმცა აცხადებს, რომ „ფინანსური თვალსაზრისით ჩვენ ვიღებთ დაახლოებით იგივე შედეგს, რაც ნედლეულის მიღების შემთხვევაში“.

„რა თქმა უნდა, არ იყო ადვილი ეს მოლაპარაკებები. რამდენიმე შეხვედრა იყო და ძალიან განსხვავებული პოზიციებიდან დაიწყო ჩვენი მოლაპარაკებები, თუმცა შეთანხმება, რომელიც შედგა, იყო საუკეთესო იმ წინადადებებისგან, რომელიც იყო მიღებული“, - განმარტა კალაძემ.

კითხვაზე, რომ თუკი შარშანდელი მოლაპარაკებების დროს ქართული მხარის გამარჯვებად ჩაითვა ტრანზიტის საფასურის ნედლეულით ანაზღაურების პრაქტიკის შენარჩუნება, ახლა რატომ მოხდა პოზიციის დათმობა, კალაძემ აღნიშნა: „პოზიციის დათმობას ვერ ვიტყვით. ჩვენ დღეს ხელშეკრულება არ გვაქვს, 31 დეკემბერს გაუვიდა ვადა. მათი მოთხოვნა იყო, რომ გადავსულიყავით ფინანსურ ანაზღაურებაზე, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებში ხდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ შეგვეძლებოდა ბუნებრივი აირის წამოღება არაკანონიერად, ანუ მოგვეპარა მილში გატარებული ბუნებრივი აირი. შემდეგ ამას მოჰყვებოდა სასამართლოში წასვლა და ეს გაცილებით დიდი ზიანის მომტანი იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის“, - განაცხადა კალაძემ.

„ინტერპრესნიუსი“

ENPARD - საქართველომ სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგია მიიღო

საქართველოს მთავრობამ მიიღო სოფლის განვითარების პირველი ეროვნული სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ხედვას 2017-2020 წლებისთვის ისეთ საკვანძო საკითხებში, როგორცაა ადგილობრივი ეკონომიკის ზრდა და დივერსიფიცირება, სოციალური და საჯარო სერვისების განვითარება, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და განვითარების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა.

ENPARD-ის ინფორმაციით, სოფლის განვითარების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის მიღებით დასრულდა სტრატეგიის შემუშავების ერთწლიანი პროცესი, რომელიც განხორციელდა საქართველოს მთავრობის ინიციატივითა და ევროკავშირისა (EU) და გაეროს ორი სააგენტოს - გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში.

„სტრატეგია წარმოადგენს საქართველოს სოფლის განვითარების ახალ ხედვას, რომელიც ეყრდნობა საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას ამ სფეროში. მისი მიზანია, ადგილობრივი ბიზნესის განვითარება, სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება. სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებებს.

ENPARD-ის ექსპერტული ცოდნის გაზიარებით, სტრატეგიის შემუშავება იყო კომპლექსური და თანამონაწილეობითი პროცესი, რომელიც ჩართულებით იყენებდა ეროვნული და საერთაშორისო მხარეები, მათ შორის არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციები, სამინისტროები, სახელმწიფო დაწესებულებები და საერთაშორისო ექსპერტები. სტრატეგიის პროექტის განხილვაში აქტიურად მონაწილეობდა სამოქალაქო საზოგადოება. ამ მიზნით გაიმართა რამდენიმე შეხვედრა თბილისსა და ქუთაისში.

სტრატეგიის მიღებას მოჰყვება უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დაფუძნება, რომელსაც სათავეში ჩაუდგება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. საბჭო კოორდინირებას გაუწევს როგორც სტრატეგიის განხორციელებას, ასევე კონკრეტულ ინიციატივებს საქართველოს რეგიონებში.

ევროკავშირი (EU) ხელს უწყობს სოფლის განვითარების თანამედროვე პრაქტიკის დანერგვას საქართველოში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის, ENPARD-ის დახმარებით. საქართველოში პროგრამა 2013 წლიდან ხორციელდება და მის მიზანს სოფლად სიღარიბის შემცირება წარმოადგენს. 2013-2019 წლებისათვის ENPARD-ის ბიუჯეტი საქართველოში შეადგენს 102 მილიონ ევროს. ENPARD-ის პირველი ფაზა ორიენტირებული იყო სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, მეორე ფაზის ფოკუსი სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების მიცემაა“, - ნათქვამია ინფორმაციამში.

39 წლის შემდეგ ფიროსმანის სურათს „სვირი“ დამთვალეირებელი პირველად ნახავს

39 წლის შემდეგ დამთვალეირებელს პირველად ექნება შესაძლებლობა ნიკო ფიროსმანაშვილის სურათი „სვირი“ იხილოს. ნამუშევრის პრეზენტაცია დღეს 13:00 საათზე, ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შვედრდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გაიმართება.

სურათი მუზეუმმა 1930 წელს შეიძინა. მანამდე „სვირი“ გიორგი ლეონიძის საკუთრება იყო. 1930 წლიდან დღემდე ის სულ სამჯერ — 1957, 1968, 1978 წლებში გამოიფინა. 1978 წლის შემდეგ, მძიმე დაზიანებების გამო, ნამუშევარი ფართო საზოგადოებას აღარ უნახავს.

ეროვნული მუზეუმის რესტავრატორმა ნანა მანაგაძემ სურათს ხანგრძლივი სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარა.

ნიკო ფიროსმანაშვილის აღნიშნულ სურათთან ერთად, მუდმივ ექსპოზიციაში ჩაერთვება „ნადირობა ინდოეთში“ და „დათვი მთვარიან ღამეს“.

„ნაციონალური გაყრა“ - დასასრულის დასაწყისი?!



ეს ფოტო უკვე წარსულის კუთვნილებაა, ისევე, როგორც ნაციონალური მოძრაობის მონოლითურობის მითი.

მთავარი ოპოზიციური პარტიის ყრილობამდე რამდენიმე დღით ადრე მთავარ კითხვას რამდენ ნაწილად გაიყოფა „ნაციონალური მოძრაობა“, წერტილი დაესვა. დიდი ხანია, უკვე პარტიის შიგნითაც აღარ სჯეროდა, რომ დაპირისპირებული მხარეები საერთო ენას გამოხატავდნენ და აქამდე მონოლითურობით ცნობილი პარტია ერთიანობას შეინარჩუნებდა.

ბოლო დროს ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და უმცირესობის საბჭოს ყოფილი მდივნის, დეპუტატ გიგა ბოკერიას დაჯგუფებებს შორის არსებული ანტაგონიზმი იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ დაპირისპირების ფინალი აშკარა გახდა. ექვს აღარ ინევიდა ის ფაქტი, რომ ყოფილი სახელისუფლებო პარტია, მისი წინამორბედების: „მრგვალი მაგიდასა“ და „მოქალაქეთა კავშირის“ ბედს გაიზიარებდა.

„ნაციონალების“ დაშლის პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა ციხიდან პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრის, თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელის გიგი უგულავას მოულოდნელმა გათავისუფლებამ.

საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ, 2016 წლის 4 ნოემბერს, ციხიდან გამოგზავნილი ღია წერილით, სწორედ თბილისის ყოფილმა მერმა დაუდო სათავე დისკუსიას, რომ აუცილებელია პარტიის მიხედვით სააკაშვილისგან დისტანცირება.

გიგი უგულავა, რომელსაც დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვას ედავებოდნენ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 6 იანვარს გაათავისუფლა.

პარტიის სხვა ლიდერებთან, მათ შორის, სააკაშვილთან კომუნიკაციის შემდეგ, უგულავამ საბოლოო დღივანი უკვე დასვა. მან სააკაშვილის მომხრეებს - „ბიბლიოთეკის უკლონიტები“, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას“ - დანგრეული უწოდა.

„რესურსი იმისა, რომ პარტიამ ერთიანობა შეინარჩუნოს, პრაქტიკულად, აღარ არის. პარტია იყოფა. განსხვავებები ფუნდამენტურია“ - ეს განცხადება გიგი უგულავამ ციხიდან გამოსვლისთანავე გააკეთა.

ღია დაპირისპირება „ნაციონალურ მოძრაობაში“ ჯერ კიდევ საარჩევნო სიის ფორმირებისას დაიწყო და განსაკუთრებით გამწვავდა 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ. პარტიამ 477 053 ხმა მიიღო და პარლამენტში მხოლოდ 27 დეპუტატის გაყვანა შეძლო.

ექსპრეზიდენტი სააკაშვილი პარლამენტში შესვლის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, თუმცა

11 ოქტომბერს, პოლიტსაბჭოზე, კენჭისყრის დროს „ბოკერიას გუნდმა“ გაიმარჯვა. საბოლოოდ, ბოკოტი არჩევნების მეორე ტურსა და პარლამენტში შესვლას, მხოლოდ, სააკაშვილის მეუღლემ - სანდრა რულოვსმა გამოუცხადა.

რევანში „საკაშვილის გუნდმა“ უკვე 30 ნოემბრის პოლიტსაბჭოზე აიღო, სადაც მათ ფართო წარმომადგენლობის ყრილობის იდეა გაიტანეს. 2017 წლის 20 იანვრის ყრილობაზე, რომელიც სპორტის სასახლეში გაიმართება, პარტიის ახალი თავმჯდომარე და ახალი პოლიტსაბჭო უნდა აირჩეს.

„ბოკერიას გუნდი“ დღემდე აცხადებს, რომ 7000 დელეგატიანი ყრილობა არალეგიტიმურია, რადგან საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობაზე შეთანხმება ვერ მოხერხდა. ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება „საკაშვილის გუნდი“, რაც იმას ნიშნავს, რომ ყრილობა, ნებისმიერ შემთხვევაში, გაიმართება.

„ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე პარტიის დაშლაში ბიძინა ივანიშვილის „უხილავ ხელს“ ხედავს. ნიკა მელია ამბობს, რომ გიგი უგულავა ციხიდან ახალი პარტიის ერთ-ერთი ლიდერის სტატუსით გამოვიდა.

უგულავა ციხიდან არ გამოსულა, როგორც ნაციონალური მოძრაობის წევრი. გამოვიდა, როგორც ახალი პარტიის წევრი. სადაც გადადის ბოკერიას ჯგუფი, იქ მიყვება გიგი უგულავაც. „ბოკერიას გუნდს“ უკვე ნაპოვნი აქვს ახალი ნაცსაყუდელი. ეს არის პარტია „ევროპული საქართველო“, რომელიც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში, „ნაციონალური მოძრაობასთან“ საარჩევნო ბლოკში იყო გაერთიანებული.

2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგებით, „ევროპულმა საქართველომ“, რომლის დამფუძნებელიც პარლამენტარ გიგი წერეთლის მამაა, კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი და სახელმწიფოსგან - 895 000 ლარიანი დაფინანსება მოიპოვა.

თავად „ნაციონალური მოძრაობას“, როგორც კვალიფიციურ სუბიექტს - 1 122 000 ლარის დაფინანსება აქვს. „საკაშვილის გუნდი“ ნაწილობრივ ასევე აკონტროლებს, კიდევ ერთ კვალიფიციურ სუბიექტს - 598 000 ლარის დაფინანსების მქონე, „ქრისტიან-კონსერვატიულ პარტიას“. ყოფილ დეპუტატ შოთა მოლაშხიას პარტიასთან ბლოკში, „ნაციონალური მოძრაობა“ 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობდა.

„ბოკერიას გუნდმა“ „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიიდან დემონსტრაციულად ამოიღო სააკაშვილის მომხრე ფიგურები და საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის გადაყენებაც დაგეგმა.

თავის მხრივ, „საკაშვილის გუნდი“ პარლამენტში ახალი, დამოუკიდებელი ფრაქციის შექმნაზე მუშაობდა, ხოლო 20 იანვრის ყრილობაზე პარტიის სადავების ხელში ალების შემდეგ, საპარლამენტო სიიდან, „ბოკერიას გუნდის“ ჩახსნის პროცესის წამოწყებით იმუქრებოდა.

უკიდურესად დაპირისპირებული მხარეები პოლიტიკური გაყრის შემდეგ, არ გამოირცხვენ, ხანგრძლივი ოურიდიული დავის დაწყებას „ნაციონალური მოძრაობის“ უძრავ-მოძრავი ქონებისა და პარტიის სახელწოდების გამო.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, პარტიის გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის პოზიცია, რომელიც 2013 წლიდან დაპატიმრებულია და სასჯელს იხდის.

16 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, 12 იანვარს გაყრა ოფიციალურად გაფორმდა. ქვეყნის მთავარ ოპოზიციურ ძალად ცნობილი პარტია დაიშალა.

„ნაციონალური მოძრაობიდან“ გასული პოლიტიკოსები, პარლამენტისა და თბილისის საკრებულოს წევრები, პოლიტსაბჭოს წარმომადგენლები, პარტიის რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეები არიან. პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის“ სიით გასული 21 დეპუტატიდან პარტია დატოვა გიორგი ლვინიაშვილმა, რომელიც პარტიის გურჯაანის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო.

თბილისის ყოფილმა მერმა გიგი უგულავამ პარტიაში შექმნილ კრიზისში საჯაროდ მიხეილ სააკაშვილი დაადანაშაულა და ყოფილი თანაგუნდელი მწვავედ გააკრიტიკა.

„ნაციონალური მოძრაობიდან“ წასული ლიდერების თქმით, პოლიტიკურ ასპარეზზე ბრძოლას ახალი პარტიის რიგებიდან გააგრძელებენ, რომელიც 2017 წლის შემოდგომაზე დაგეგმილი ადგილობრივი არჩევნებისთვის იწყებს მზადებას. ახალი პარტიის სახელწოდება ჯერ უცნობია.

13 იანვარს ცნობილი გახდა, რომ საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ სახელწოდება შეცვალა და მას „ევროპული საქართველო“ ეწოდა. ამასთან, ფრაქციის წევრებმა ახალი თავმჯდომარე აირჩიეს. ნიკა მელიას ნაცვლად ფრაქციას სერგო რატიანი უხელმძღვანელებს. ფრაქციის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება უზრუნველყოფს გიგი წერეთელმა გააცნოს.

მისივე ინფორმაციით, მიღებული გადაწყვეტილება საპარლამენტო უმცირესობაში შემავალ მეორე ფრაქციაში დეპუტატების გადასვლის თაობაზე. წერეთლის ცნობით, მიღებული იქნება სხვა მიდამოებზე გადაწყვეტილებებიც, რომელიც მოგვიანებით გახდება ცნობილი.

მოკლედ, რა პროცესებთან გვაქვს საქმე, რა არის ეს-პარტიის ერთი ჯგუფის მიერ პარტიის რეზენდინგის მცდელობა, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ დასასრულის დასაწყისი, ამ კითხვაზე პასუხს უახლოესი მომავალი გაგვცემს.

ინგა შილაშვილი

დედოფლისწყაროელი „ნაციონალების“ არჩევანი

რამდენიმე დღის წინ „ნაციონალური მოძრაობა“ ძირითადად ბირთვმა დატოვა და ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს საკმაოდ მწვავე განცხადებებით გაემიჯნა. პარტიის ლიდერებმა სააკაშვილი ჯართში მოსასროლ მანქანასაც შეადარეს და აღნიშნეს, რომ მიხეილ სააკაშვილი თავისივე თავის პრობლემაა. მათივე შეფასებით, ის აღარ იმსახურებს პარტიის ლიდერობას, რადგან თანაგუნდელმა „პრავების კაჩავით“ ესაუბრება.

ზაზა კედელაშვილი, რომელიც წინა მოწვევის პარლამენტში დედოფლისწყაროს მაჟორიტარის მანდატს ფლობდა და საგარეო ოთხი წლის განმავლობაში იკავებდა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კიდევ ერთხელ გახდა პარლამენტის წევრი. მოგეხსენებათ, კედელაშვილი კენჭს ამჯერად თბილისში, ისინი საარჩევნო ოლქში იყრიდა, თუმცა, დამარცხების მიუხედავად, პარლამენტარის მანდატი პროპორციული სიით მიიღო, რადგან ნაციონალური მოძრაობის პარტიულ სიაში 24-ე ნომრად იყო წარმოდგენილი. იმის გათვალისწინებით, რომ კედელაშვილი უგულავას გუნდში მოიაზრება, რთული მისახვედრი არ იყო, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა დედოფლისწყაროს ყოფილი მაჟორიტარი.

განდგომილთა რიცხვში აღმოჩნდა კახეთის ყოფილი გუბერნატორი, გიორგი ლვინიაშვილი.

ვინაიდან კახეთის რეგიონში ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი ორგანიზაციები ძირითადად მუნიციპალიტეტების ყოფილი ხელმძღვანელებით არის დაკომპლექტებული და ისინი, ძირითადად, ლვინიაშვილის თანამებრძოლებად მოიაზრებოდნენ, იყო მოლოდინი, რომ რაიონული ორგანიზაციების უმრავლესობა ლვინიაშვილს გაჰყვებოდა. თუმცა, როგორც 12 იანვარს გაირკვა, სააკაშვილის გამიჯვნა კახელმა მხარდამჭერებმა არ ისურვეს. რეგიონში მოქმედი რვა ორგანიზაცია და მასში შემავალი ლიდერები თუ დელეგატები კვლავ სააკაშვილის გუნდში რჩებიან.

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, რა ვითარებაა დედოფლისწყაროს რაიონულ ორგანიზაციაში და ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ლევან ბალაშვილს ესაუბრა. მისი თქმით, ორგანიზაცია ერთიანია, გაყოფა მათ არ შეხებათ და 26 დელეგატი მზადაა ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად.

ლევან ბალაშვილი: „ისიც არ ვიცი, ვინც წავიდნენ, რატომ წავიდნენ პარტიიდან, შესაბამისად მე ისევე იქ ვარ, სადაც აქამდე ვიყავი. ჩემთვის გაუგებარია მათი ნაბიჯი. რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს რაიონულ ორგანიზაციას, კვლავაც მყარ პოზიციაზე დგას, ერთიანია ჩვენი ხედვა. ისევე იმ იდეის გარშემო, რისთვისაც თავის დროზე გაერთიანდით და რისთვისაც 2012

წლის შემდეგ ასე ვიბრძვით. ამჯერად ყრილობისთვის ვეზადებით, დედოფლისწყაროს ორგანიზაციის 26 დელეგატი მზადაა 20 იანვარს სპორტის სასახლეში დაგეგმილ ყრილობაში მონაწილეობა მიიღოს და საკუთარი პოზიცია, თუ პარტიული ერთიანობა კიდევ ერთხელ მკაფიოდ დააფიქსიროს. შეიძლება თამამად ითქვას, ე.წ. გაყოფა დედოფლისწყაროს ორგანიზაციას არ შეხება, რადგან ყველა წევრი ისევე იმ აზრზე დგას, რაც აქამდე გვაერთიანებდა და განსხვავებული პოზიციები არ ყოფილა. თუ არ ჩავთვლით სამ წევრს, რომელიც ბატონი ზაზა კედელაშვილის ფრთას წარმოადგენდნენ. რადგან ზაზა კედელაშვილი ბოკერიას ფლანგს შეუერთდა, ჩვენგან მხოლოდ სამი წევრი გაჰყვა მას, სხვებს სურვილი არ გამოუხატავთ. ჩვეულ რეჟიმში ვმუშაობთ, ჩვენთან არაფერი შეცვლილა. როგორც არასდროს, ისე გვმართებს ერთიანობა, რადგან, კარგად ვხედავთ, რა ხდება ქვეყანაში, რა პრობლემებია და ამ ყველაფერს ბრძოლა სჭირდება.“ - აღნიშნავს ლევან ბალაშვილი.

ცნობილია, რომ გაყრის ოფიციალურად გამოცხადებამდე საპარლამენტო და საკრებულოს პროპორციული სიებიდან რამდენიმე წევრი ამოიღეს, რაც ასევე დაპირისპირების მიზეზი გახდა. „ამ ადამიანებმა თავიანთი გადაწყვეტილებით, პარტია შეიცვალა ჩიხურ სიტუაციაში“ - ამ განცხადებით, ენმ-ს ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი ზურაბ ჭიაბერაშვილი თანაგუნდელს ლევან ბეჟაშვილს პასუხობდა. ჭიაბერაშვილი იმ მიზეზებს განმარტავს, რის გამოც პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რამდენიმე წევრის საპარლამენტო სიიდან ამოღების მოთხოვნით მიმართა: „ამ ადამიანებმა თავიანთი გადაწყვეტილებით, პარტია შეიცვალა ჩიხურ სიტუაციაში. საჯაროდ და ღიად ბოკოტი გამოუცხადეს პოლიტსაბჭოს, სადაც უნდა დედოფლისწყაროს ის წევრები, რომლის მიხედვითაც უნდა ჩატარებულიყო ყრილობა“ - აცხადებდა ზურაბ ჭიაბერაშვილი.

ლა, ცემის ფაქტზე კი 1000-1000 ლარიანი ჯარიმა დააკისრა. სხდომაზე 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ლამეს დედოფლისწყაროში მომხდარი ინციდენტი განიხილებოდა. ბრალდების მხარის მტკიცებით, „ნაციონალური მოძრაობის“ საოლქო-საარჩევნო კომისიის წევრებმა მამუკა ბალაშვილმა და ზურაბ ყოჩიაშვილმა იხულოვნეს და მე-7 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს პეტრე მამულაშვილს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაცემეს. ისინი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაშიც დაადანაშაულეს.

„ნაციონალური მოძრაობის წევრების ადვოკატი ჯარიმის განხილვას გეგმავს. „წარდგენილი გვაქვს საკმარისი მტკიცებულებები, რომ არანაირ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია. ეს დღევანდელმა სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა და აუცილებლად დავამტკიცებთ იმასაც, რომ იქ ცემის ფაქტს ადგილი არ ჰქონია,“ - განაცხადა ადვოკატმა გიორგი გელხაურმა.

პროცესზე დაცვის მხარემ საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მხრიდან საარჩევნო კოდექსის რამდენიმე მუხლის დარღვევაზე ისაუბრა, რომელიც საარჩევნო უზნის მიტოვებასა და შემაჯამებელი ოქმის დაქვეითებულებისთვის წარდგენას გულისხმობს.

ამას გარდა, რამდენიმე დღის წინ დასრულდა სასამართლო განხილვა, რომელიც თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მიმდინარეობდა. სილნაის რაიონულმა სასამართლომ ნაციონალური მოძრაობის წევრები ხულოცების ნაწილში გაამართ-

ილია გარტყოფლიშვილი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე



“იშვა ყრმა, მოგვეცა ძე... და სახელი მისი, - ...
ღმერთი ძლიერი, ხელმწიფე, მთავარი მშვიდობისა,
მამა მერმეთა მათ საუკუნეთა” (ეს. 9,5).

ყოველად ამღვდელთა მღვდელ-მთავარნი, ღირსნი მოძღვარნი, დიაკონნი, ბერ-მონაზონნი, საერო დასნი, საყვარელნი დანი და ძმანი, მკვიდრნი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნი თანამემამულენო!

დღეს ბეთლემი «ცათა მობაძვე იქმნა, ვარსკვლავთა წილ ანგელოზნი ჰქონან მაქებელად და სამყაროს ეფინება საოცარი საგალობელი: „დიდება მალაქთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა.“

ყოველნი ერნი, „აღიპყრებით ხელნი თქვენნი და ღალატებით ღმრთისა მიმართ ხმითა სიხარულისათა, რამეთუ

ქრისტე იშვა და ევა მწუხარებისა-გან იხსნა;

ქრისტე იშვა და ქუეყანა აღეშენა;
ქრისტე იშვა და ერი განმხიარულდა.” (შობის საგალობელი)

ღვთის განკაცების ამ დიად დღეს გაიხსენეთ კაცობრიობის თავდაპირველი ისტორიაც.

ჩვენს წინაპრებს, ადამს და ევას, ედემში ღმერთთან უშუალო კავშირი ჰქონდათ და უფლისმიერი მადლით კიდევ უფრო წარმატებულდნენ. შემოქმედისაგან ისინი განმსჭვალულნი იყვნენ საოცარი სიყვარულით და ამ სიყვარულს თვითონაც გასცემდნენ, რაც თანხობასა და ნეტარებაში მათ მკვიდრობას განაპირობებდა.

აპოკალიფსის ნაყოფის მიღება არსებულ სრულყოფილ კარგონის რღვევა გამოიწვია რადგან, ეს არ იყო უბრალო შეშინება; იგი იყო გამოვლინება იმისა, რომ რეალურად აღაშენა და ევა შერი თქვენი საღვთო წესრიგზე, გორგთი ქალისაგან შთაბრძნულ ამაკრატავენას, პატივმოყვარეობასა და შურს დაემოწმენ და კეთილისაგან უკეთესისაგან მიიღრკინენ. ესე შემოვიდა ცოცხა და ცოდვასთან ერთად სიკვდილი. ესე დაეცა ადამიანური გუნება. ადამთან ერთად დაეცა მისი განმგებლობისა და პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი მთელი ხილული სამყარო. სულიწმინდის მადლი პირველყოფილს განეშორა, რადგან აღარ ჰქონდათ მისი დატყვევების უნარი; შედეგად კი დადგა ხორციელი და, რაც მთავარია, სულიერი სიკვდილი.

მადლისაგან განძარცვულ პირველმშობელთა ბუნება ხრწნას დაექვემდებარა, ამასთან, მათ დაეკარგათ ქვეყნარბი თვისუფლების განცდა და

დაუმახნივდით როგორც გარემოს, ისე ღმერთის აღქმა. გაუკუღმართებული აზროვნების გამო კი მათში გაბატონდა ხორციელი ცნობიერება.

სიკეთის მოკლებით განიღვრა ცოდვითა ერთობლიობა არის ადამიანის გუნებას დაცემული მდგომარეობა, რომელსაც შედეგად მოჰყვება სიკვდილი. ყოველივე ეს კი ათასწლეულების მანძილზე იმეპვიდრება კაცთა მოღვაწე.

მხოლოდშობილი ძე ღვთისა ოცი საუკუნის წინ შეივლინა სამყაროს.

უფრო იგი უამიერ იქმნა, დაუსაბამო დასაბამიერი გახდა, უხილავი ღმერთი ბაგაში მწოდ ჩვილ ყრმად წარუდგა სოფელს, რათა მარადიული სიკვდილისათვის განწირული ადამის მოდგმა თავისი თავის მსხვერპლად გაღებით გამოეხსნა და ცოდვითა აღბრუნებით ჩვენთვის დაკარგული მადლისმიერი ძეობა დაებრუნებინა.

“ეჰა, დიდებული და საკვირველი საიდუმლო,

ეჰა, შესაძრუნებელი საღმრთოებელი!” (შობის საგალობელი).

იესო ქრისტემ დაცემული კაცობრივი ბუნება თავის ღვთაებრივ პიროვნებაში შეურყენებლად შეიერთა, განაახლა, სამების ნიაღში ზეცად აიყვანა და საღვთო დიდებით განაბრწყინა.

თუ პირველ მშობელთაგან მემკვიდრეობით მივიღეთ ხრწნილება და სიკვდილი, ახალ ადამში, ქრისტეში, ყოველმა ადამიანმა ცოდვისგან სრული გათავისუფლების მადლი მიიღო.

ამისთვის კი, პირველ რიგში, აუცილებელია, ყოვლადწმინდა სამებისადმი ქვეყნარბი რწმენით ნათლობა, აღმსარებლობა იმისა, რომ იესო ქრისტე არის ბუნებითი ღმერთი, ყოვლადწმინდა სამების მეორე პიროვნება, მხსნელი და მაცხოვარი სულთა ჩვენთა.

ნათლობა არის მთელი ადამის, ქრისტეს, ნიაღში ჩვენი სულიერი შობა, რომლის დროსაც გვენიჭება სულიწმინდის გაცემი, ის ცხოველმყოფელი მადლი, რაც დავკარგეთ სამოთხეში და, ამასთან, გვენიჭება უნარი მარადიული ნეტარი ცხოვრების მოპოვებისა.

ახალი ადამის შობით კაცობრიობა ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ ორ ნაწილად გაიყო და დაიწყო სრულიად ახალი ერა. თუ პირველმა ადამმა და მისმა მოდგმამ ჩადენილი ცოდვის გამო, დიდი სიწმინდის მიუხედავად, ვერ შეძლო დაწმინდების გამოხატვა, ახალი ადამის განხორციელების შედეგად, მრავალჯერადი შეცოდების შემთხვევაშიც, ქრისტისგან, ვიდრე ხორციელი აღსასრულად, ქვეყნარბი სინანულით, აღსარებითა და ზიარებით ყოველთვის შეუძლია ნათლობით მიღებულ

მადლთან და სულიერ მდგომარეობასთან დაბრუნება.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ნათლობა არის მხოლოდ დასაწყისი ჩვენი განღმრთობისა. შემდგომი წინსვლა კი ჩვენი პირადი ღვაწლითა და ეკლესიური ცხოვრებით უნდა განხორციელდეს.

ქრისტეს შობა კაცობრიობისთვის უდიდესი დღესასწაულია, რასაც სრულად ვეზიარებით, როდესაც ნათლისღების გზით ახლად ვიშვებით ქრისტეში. ამიტომაც არის, რომ შობის დღესასწაულს უშუალოდ მოჰყვება ნათლისღების დღესასწაული, რომელიც განუყოფლად არის მასთან დაკავშირებული.

ნათლობით მიღებული მადლი არის უდიდესი საბოძარი, რომელსაც სრულად ვერც ვაცნობიერებთ. ეს განსაკუთრებით ითქმის ძველი ადამიდან ახალი ადამის ნიაღში მოქცეულებზე, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ რწმენის გზაზე და მათზეც, რომელნიც დიდი ხნის მოინათლნენ, მაგრამ ცოდვის მრავალგვარობას ხშირად ვერ აცნობიერებენ, რამეთუ მხოლოდ პირადი შეხედულებებითა და ამქვეყნიური კანონებით განსჯიან. აუცილებელი კი არის წმიდა წერილით გაცხადებული მცნებებისა და სწავლებების გათავისება, რათა სულიერი თვალი აგვეხილოს და ავის და კარგის, ცოდვის და მადლის გარჩევა ვისწავლოთ.

საღვთო ზნეობა იმდენად მაღალია, რომ მას თვით ყველაზე დახვეწილი და რაციონალური სხეულმნიშვნელობაც კი ვერ შეადარებ.

სახელმწიფო კანონები დანაშაულებად არ მჩივან, მაგალითად, პატივმოყვარეობა, დიდებისმოყვარეობა, განკითხვა, მრისხანება, შური, ამაკრატავენა, ეგოიზმი, შიში, მტრობა, სიძულვილი ... ვიდრე მათი გამოვლინებაში სერიოზულად არ დაზარალებს სხვას.

უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ კი განგვიცხადა, რომ ცოდვად ითვლება არა მარტო არასწორი საქციელი, არამედ მოყვასის მიმართ სიყვარულისა და კეთილგანწყობის არქონა, უკეთური ფიქრითა და ბოროტი გულისთქმაც და მოგვიწოდა, რომ ნებისმიერი ცოდვა დასაწყისშივე, ანუ გონებასა და გულში განჩინებულად, აღმოვფხვრათ, რათა იგი ქმედებად არ იქცეს და მისგან თავის დაღწევა არ გავვიძნეოდეს.

როგორც საღვთო, ისე სახელმწიფო კანონები რა თქმა უნდა, ზრუნავენ ადამიანზე, მაგრამ მათში განსხვავებულობას წარმოქმნის პიროვნების აღქმა და მასთან დაკავშირებული ხედვის პერსპექტივა. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ ქვეყნებზე, სადაც ზოგიერთი სახელმწიფო კანონი ენიშნავს მთელი ხალხის უნარს და მცდელობა აქვთ, ცოდვა ორგანიზებულად ნებადართული გახადონ. პარალელურად ხდება ისიც, რომ ტალღები, მასმედია, სოციალური ქსელები... ამა თუ იმ უნარს ხშირად მიჰყვებიან და სინთეზურად გვისახებენ და ხელს უწყობენ მათ პროპაგანდას.

სამოთხეში დაწყებული ისტორია ცოდვის კეთილად წარმოჩენისა და შეთავაზებისა, გრძელდება; აკრძალული ნაყოფი ადამიანს კვლავაც მიზიდვლად ეჩვენება, ისევე, როგორც სამოთხეში: „იყო საჭმელად ის ხე თვალწარმატებელი და საამური სანახავად“ (დაბ. 3,6).

რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, რომ მაშინ, როდესაც ამდენი ხანი ქრისტე ჩვენს განსაკუთრებულად მოვიდა, დღესაც მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ურწმუნოების ცოდვაშია; ეს განსაკვირვებელი არის, რადგან ქვეყნარბი სარწმუნოებას

ყოველ დროში მხოლოდ ჭკვიანობით ღვთის ნების აღმსრულებელი ადამიანები ინარჩუნებდნენ.

ეს რჩეული სამწყსო არის პირველ მალაქ ღმერთებთან მალაქრებელი კრებული, იმ პირთა ერთობა, რომელთათვისაც ღმერთი მარტო ძალა კი არ არის, რომელიც ძველ აღთქმაში ზოგჯერ ცეცხლის, გრიგალის, ღრუბლის, მგრგვინავი ხმის სახით... ეცხადებოდა, არამედ ბეთლემს შობილი ემანუელი (რაც ნიშნავს: „ჩვენთან არს ღმერთი“), მეორე პირი ყოვლადწმინდა სამებისა, რომელმაც წინ სწორედ პიროვნული ღირსებები წამოსწია, დაგვანახა რა, რომ ნებისმიერი ჩვენგანი უნიკალურია, განუმეორებელია, ხატია უფლისა და სული წმინდის მადლით ღვთის მადლისმიერი ძეობის აღდგენა ძალუქს.

პიროვნება ასეთ სიმაღლეზე არასოდეს არავის აუყვანია!

მაცხოვარმა ჩვენმა ყველა ადამიანური ტიპილი, თვით ჯვარცმით სიკვდილიც, კაცობრივი გუნებათა ქვეყნარბით განიცადა, რათა, მწუხარებაში მყოფ ნებისმიერ ჩვენგანს, ჰქაზდეს მისი საშობის თანამოცილობა უფალი, რომელიც ღვთაებრივი სიყვარულითა და სიხარულით ალაგვებს ყველას.

დღეს ამ უჩვეულო სიხარულის დღეს; დღეს განსაკუთრებით ხარობენ ბავშვები, რადგან უფალი მათ მგავსად ჩვილად მოევილინა სამყაროს; დღეს ხარობენ დედები, რადგან დედამ, - ახალმა ევამ, ახალი ადამი, - ღმერთი შვა.

მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი განსაცდელისა და ათასგვარი ჭირ-ვატანისა, უფლის შეხვედრითა და ღვთისმშობლის მიუხედავად სიხარულით კვლავაც ქრისტეს გზას ერთგულად მიხდევს და შობის მახარობელია.

ერთსულოვნებით განვკლირდით ქართველნი, ოსნი, აფხაზნი, ბერძენნი, რუსნი, უკრაინელები, ებრაელები, ასირიელები, უფინები, სომხები, აზერბაიჯანელები, ქართველები, ქისტნი, ლეკნი, ჩეჩენები და ღვთისმშობლის მიხედვით უფალი ჩვენი მისი ყოველი მკვიდრნი, უფალი ჩვენთან არის!

რა თქმა უნდა, მე ვიცი, როგორ უჭირს ჩვენს ხალხს, რამდენი განსაცდელითა და ტკივილითა სავეს ეს ნუთისოფელი, მაგრამ მნამს ისიც, რომ მიუხედავად მრავალი სიმძიმისა და დაბრკალებისა, ჩვენი ერი ღირსეულად გაივლის გოლგოთის გზას და უფალთან ერთად აღდგება და გაიხარებს.

მაგანო და დედანო, დანო და ძმანო, უხუცესნო და ყრბანო, უკლურნო და სნეულნო, საყვარელინო და საყვარელინო მყოფნი, - ქრისტე იშვა!

მწყემსნი და მოგვნი ღმრთის წყვილიანი ვარსკვლავის შუქზე მიიჩნებიან ბეთლემის გამოქვაბულისაკენ. დაე, ჩვენც, ანთიპური სათნობით, მათთან ერთად რწმენით მივიხსლოთ ახლადმოვილ ყრბას და ოქროს, გუნდრუქისა და მურის ნაცვლად მივართვათ მონაწილე, მოსიყვარული და მადლიერებით სავსე გული, რათა ჩვენშიც იშვას ყრბა ახალი, პირველსაუკუნეთა ღმერთი!

ღმერთი წყალობისა და მოწყალებისა, ღმერთი სიყვარულისა და მშვიდობისა იყოს თქვენთან, ამინ!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი
ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
შობა ქრისტესი,
თბილისი,
2016/2017წ.

მსახიობობაზე არც მიოცნებია...

14 იანვარი ქართული თეატრის პროფესიული დღეა. დღევანდელი ელექტროტექნოლოგიების განუ-საზღვრელი განვითარების ფონზე, თეატრი თითქოს ჩრდილში მოექცა და „ზოგიერთის აზრით, ასე ვთქვათ, დრო მოჭამა კიდევ, მაგრამ ეს ასე სულაც არ არის, რადგან თეატრი არის ხელოვნების და მსახიობობის უმუალო, რეალური და ცოცხალი ურთიერთობების პროცესი, რომელსაც არავითარი წარმოსახვები არ სჭირდება. ამიტომ არის ის ხელოვნების შეუცვლელი დარგი, რომელიც, თავისთავად, ეპოქის პარალელურად ვითარდება, სახეს იცვლის, მაგრამ ის ერთადერთი ნიშა ცოცხალი ურთიერთობის, უცვლელი რჩება. ამიტომ არის ის ადამიანებისთვის კვლავაც მოთხოვნადი.

დღეს ჩვენ გვინდა გიამბოთ ჩვენი რაიონის სინამდვილიდან ერთ მსახიობ ქალზე, რომელიც თეატრალურ სამყაროში ყველაზე ხანგრძლივად იმუშავა, მაგრამ მას მსახიობობაზე არ უოცნებია. ეს ნინა ყოჩიაშვილი, რომელსაც წარდგენა არ სჭირდება ხანდაზმული და საშუალო ასაკის მსახიობებისთვის, მაგრამ გვინდა, ახალგაზრდებმაც იცოდნენ, როგორი ერთგულებით, გულწრფელობით და თავდაუზოგავად ემსახურებოდა ის თეატრს და, ზოგადად, რაიონის კულტურულ ცხოვრებას.

ნინა ყოჩიაშვილი 92 წლის გახლავთ და მოუხედავად ასაკისა, მხნედ არის, არც მესხიერებას ემდურის, ახსოვს ყველა და ყველაფერი, რაც მის ხანგრძლივ ცხოვრებაში მომხდარა. მასთან საუბარი სასიამოვნოა, რადგან ფაქტებსა და მოვლენებს ისე თანმიმდევრულად და ურთიერთკავშირში გიყვება, რომ შენს თვალშიც ცოცხლდება მთელი გასული, მეოცე საუკუნე.

ის 1925 წლის 14 აპრილს დაიბადა ნითელწყაროში, მართა კორაშვილისა და სიმონ ყოჩიაშვილის ოჯახში მეშვიდე შვილი. კოლექტივიზაციამდე მამამისი მოჯანჯირე იყო ერთ შეძლებულ ოჯახში. იმდენს შრომობდა, რომ უღელი ხარი და „პოოსკაც“ კი შეიძინა და მერე კოლექტივში გააერთიანა ეს მთელი თავისი ავლა-დიდება. მალევე, 1936 წელს, ოჯახის უფროსი გარდაიცვალა და უმცროსი ასაკში და-ძმაც გამოაკლდათ. დარჩენილი 3 ვაჟის და ორი ქალიშვილის აღზრდა დედას მოუწია. იმ დროისთვის კოლმეურნეობა დიდი ხსნა იყო ცალკეულად დარჩენილი ქალისთვისაც და მოზარდებისთვისაც. ისინი დედის მხარდახმარ შრომობდნენ და ოჯახს ეხმარებოდნენ, დაიზარდნენ და ყველამ თავისი ცხოვრების გზა ნახა.

ნინამ 1942-43 სასწავლო წელს ნითელწყაროს ქართული საშუალო სკოლა მაღალი აკადემიური მოსწრებით დაამთავრა, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზკაპ-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა და იქაც ბევრთადა დაიწყო სწავლა, მაგრამ მალევე ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები შეექმნა – გამწვანებულ რევმატიზმის ფონზე სიარულის უნარი დაკარგა და მარჯვენა ხელიც აღარ ემორჩილებოდა. ინსტიტუტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ის სახლში დაბრუნდა. წლები დასჭირდა მის გამოჯანმრთელებას: ვინც რას ურჩევდათ, იმას აკეთებდნენ. ხან ანწლიმ ჩაწვინეს, ხან ფესვიან ფოთლიანი ჭიჭიქის ნახარშის თბილი ვანები გახუთეს და ფეხზე დააყენეს, მერე ექიმის მიერ გამოიწერილი მალამოც წამლად ექცა, მარჯვენა ხელიც გამართა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მას მერე რევმატიზმს თავი აღარ შეუხსენებია მისთვის, მას ფიტოთერაპიის უნიკალური შესაძლებლობების დღესაც სჯერა, თავადვე მრავალი რეცეპტი იცის და ბევრიც მოუმაღლიერებია. ასე დარჩა სტუდენტობის ლა-

მაზი გაეღებოდა მის ახალგაზრდულ მოგონებებში და ცხოვრებამ სულ სხვა გზებით ატარა.

1944 წლის ივნისში ნითელწყაროში სახელმწიფო თეატრი გაიხსნა. დირექტორი, რომელიც ამავდროულად რეჟისორიც იყო, თბილისიდან მოიწვიეს. ბატონმა აკაკი ინჯიამ თან 5-6 პროფესიონალი მსახიობი ჩამოიყვალა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და დასი ადგილობრივი სცენისმოყვარეებით შეავსეს. ბევრი ენთუზიასტი გამოიჩინდა თეატრს: დარეჯან ყოჩიაშვილი(ვასიკო ყოჩიაშვილის მამიდა), რაია ლაპიაშვილი(ის შემდგომ ქალაქ რუსთავის თეატრში მიიწვიეს და იქ ხანგრძლივად და წარმატებით მოღვაწეობდა), შოთა ყარაღაშვილი, რეზო გონაშვილი, სურენა შანშიაშვილი, დარეჯან ნარინდოშვილი, თამარ მულიგინი, ალექსანდრე ნიკოგოსოვი, სამა შალვაშვილი, ვალიკო პოპიაშვილი(კუტოანთი), დუსია გონაშვილი და სხვები, რომლებიც ტოლს არ უდებდნენ პროფესიონალ მსახიობებს.

ცნობისთვის გეტყვით, რომ-



სახელმწიფო თეატრის შექმნამდე, მეოცე საუკუნის 30-იან წლებში, ნითელწყაროში იყო ადგილობრივი თეატრალური კოლექტივი, რომელსაც რეჟისორობდა მიმა მენთემშვილი, რომელიც მერე მსოფლიო ომში გაიწვიეს და აღარც დაბრუნებულა. მაშინდელ დასში მონაწილეობდნენ:ზინა ჭაბაშვილი, მარიკა ლაპიაშვილი, გოგი ლაპიაშვილი, ელენე ფაველიშვილი, რაუდენ ლეგინაშვილი, მიმა არგუტენსკი, სალომე სარალიძე, თამარ მულიგინი და სხვები. მათი მონაწილეობით დაიდგა პიესები: „სურამის ციხე“, „ხანუმა“, „მირაის გული“.

1945 წელს თეატრიდან სუფლიორი(მოკარნახე) წავიდა და ადგილი განთავისუფლდა. ახალ თანამშრომელს ეძებდნენ.რეზო გონაშვილმა, რომელიც ნინა ყოჩიაშვილის თანაკლასელი იყო, რეკომენდაცია გაუწია მას და ასე შევიდა ის თეატრალურ კოლექტივში ტექნიკურ თანამშრომლად.

პირველი სპექტაკლი, რაც დაიდგა, ეს იყო ხალხურ მოტივებზე შექმნილი პიესა „არსენა“. თეატრი ინტენსიურად მუშაობდა, სეზონზე მინიმუმ 5-6 სპექტაკლი იდგებოდა. არსენას როლს 19 წლის შოთა ყარაღაშვილი ასრულებდა, თავადს-შესახედავად უნაკლო და არტისტული ნიჭით დაჯილდოებული სამა შალვაშვილი, ხოლო თავადის მოახლეს, ანუ არსენას საცოლეს, დუსია გონაშვილი. პრემიერა 1944 წლის 25 ოქტომბერს გაიმართა. ვერ პირველად 12 წლის ბიჭის-ლადის როლი შესთავაზეს ქალბატონ ნინას, მერე დაიდგა სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“, ყველაფერი მზად იყო, აფიშები გაკრული, აბონემენტები დარიგებული, 3 დღეში პრემიერა იყო და-ნიშნული, მაგრამ მოახლის როლის შესრულებელმა შემთხვევით ტრავმა მიიღო და პრემიერის გამართვა კითხვის ნიშნის ქვეშ დდგა.რადგან ნინა ყოჩიაშვილი მოკარნახე იყო და მთელი პიესა ზეპირად იცოდა,

რეჟისორმა მას სთხოვა თებროს როლის შესრულება. ნინა უარზე დადგა, სიტყვები კი იცოდა, მაგრამ ერთ სცენაში, სადაც თებროს, 45 წლის ქვერქალს, მამაკაცი ეარმბიყება, რის გამოც მან სილა უნდა გაანხას, თვით თეატრის დირექტორი და რეჟისორი აკაკი ინჯია თამაშობდა. ნინას ვერ წარმოედგინა, სილა როგორ გაეწნა თავისი უფროსისთვის,მაგრამ მეგობრების შეგულიანებით ეს კრძალვა დაძლია და ისე კარგად შეასრულა როლი, რომ მას მერე არავითი მთავარი და მეორეხარისხოვანი როლი შესარულა სხვადასხვა სპექტაკლში.ის კი არა, ხანდახან სხვადასხვა მოქმედებაში ორ და სამ როლსაც კი ასრულებდა, მაგალითად „ნათელაში“ ნათელაც იყო და მკითხავიც. იმის გამო, რომ ადგილობრივი თეატრის მოყვარულები პროფესიონალები არ იყვნენ, საჭირო იყო მათთვის კატეგორიების მინიჭება, რომელიც უნდა დაედგინა სპეციალურ კომისიას.ამ მისიით ნითელწყაროს ცნობილი მსახიობები თამარ ჭაჭავაძე, შალვა ლონდაძე და პეტრე კობახიძე ეწვივნენ. სხვა აქტივისტებთან

კულტურის სახლის დირექტორი-ელენე ფაველიშვილი,აგრონომი დათუნი სინჯიაშვილი, შოთა ნატროშვილი, დიმიტრი ქართველიშვილი, ეგრეზ ჯანყარაშვილი, თინა ფაველიშვილი, ამირან ბილიაშვილი, მარო ხარხელი და სხვები ისევ მიხილ იარაღის ხელმძღვანელობით აგრძელებდნენ სპექტაკლების დადგმას.

1949 წლის 21 დეკემბრისთვის შედგა პრემიერა ოთხმოქმედებიანი პიესისა „აყვავებულ ბაღში“, რომელიც სტალინის დაბადების 70 წლისთავს მიეძღვნა. ამ სპექტაკლში ნინა ყოჩიაშვილი ერთ-ერთ მთავარ როლს –სტუდენტი ქალიშვილის ქეთოს როლსაც ასრულებდა და რეჟისორის თანამშენვეც გახლდათ. ასე იყო ხშირად.ქალბატონ ნინას უამრავი ფუნქციის შესრულება უხდებოდა-მთავარი როლის შესრულებიდან დაწყებული,მოკარნახის და მოლაზრის მოვალეობის ჩათვლით. სადაც კი დასჭირდებოდათ, იგი მზად იყო, ყველას შენაცვებოდა.

ნინა ყოჩიაშვილი გამორჩეული მადლიერებით იხსენებს რაიკომის პირველ მდივანს მიხილ ციხის-თავს, რომლის დროსაც რაიონი არა მარტო ეკონომიურად წავიდა წინ, არამედ ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა: ის დიდრონი კაკლები გამარჯვებაში და ზემო ქედის შესასვლელში სწორედ მის დროს გაშენდა, რომელიც შემდგომში რაიონის საფიზიჭო ბარათიც გახდა, დაიგო ასფალტი, აშენდა მრავალი შენობა და სხვა.

– მიხილ დავიდოვის გამორ-



ჩეული დამოკიდებულება ჰქონდა სპორტის და კულტურის მიმართ, ყველა სპექტაკლს და კონცერტს ესწრებოდა, გვაფასებდა, ხელს გვიწყობდა. მის დროს პირველად გამართეთ გასვლითი კონცერტები მთაში, საზაფხულო საძოვრებზე ზოგადადოვკაში, ეს დაუვიწყარი დღეები იყო. შემდგომში კი ტრადიციად დამკვიდრდა. თექვსმეტჯერ ეწვია ჩვენი დასი მთის საძოვრებს და მწყემსების დიდი მონონება დაიმსახურა. მისი ხელშეწყობით 1952 წლის 16 აგვისტოს კულტურის სახლის თეატრალურმა კოლექტივმა სტუმრად მოიწვია გამოჩენილი მწერალი და სცენარისტი შალვა დადიანი. მას თან ახლდა საბავშვო მწერალი როდიონ ქორქია. კულტურის სახლში მსახიობებთან ტევა არ იყო, ყველას უნდოდა, ცოცხლად ეხსნა მსცოვანი მწერალი. შესავალი მისალმების ტექსტის შემდეგ, სადაც შალვა დადიანის შემოქმედებად ბიოგრაფია გააცნა გამომსვლელმა, თეატრალურმა კოლექტივმა აჩვენა მისი პიესა „გვეგეჭკორი“. პიესის ავტორიც და მსახიობიც იყო ივანე ვერ ფარავა. სიტყვა წარმოთქვა როდიონ ქორქიამ და თვით შალვა დადიანმა. მან მადლობა გადაუხადა ხელმძღვანელობას, მსახიობებს და გაიხსენა ერთი კურიოზული შემთხვევა მისი ცხოვრებიდან. – იყო დრო, როცა ქუთაისში დასს ეხელმძღვანელობდა. ეკონომიურად ძალიან გვიჭირდა და იძულებული გავხდი,

ერთი ვაჭრისაგან სესხი ამელო. მდგომარეობა მაინც ვერ გამოვასწორეთ და ვაჭარს, რომელიც ფულის დაბრუნებას დაუბრუნებდა, ვალს ვერ ვუბრუნებდით. მაშინ ჩემს მსახიობებს მოველაპარაკე და.. არც მეტი, არც ნაკლები მკედრის როლი ვითამაშე, გავაკეთებინეთ კუბო, შიგ ჩავენეი და პანაშვიდი გავამართეთ. ის ვაჭარიც მოვიდა და როცა „გარდაცვლილი“ მნახა, ამოიღო თამასუქი და დახია, თან დააყოლა: მისი ჭირიც ნაუღიაო. მწერლის მონაყოლზე მთელი დარბაზი ხარხარებდა, ყველა კმაყოფილი ვიყავით, რომ ოთხმოც წელს მიღწეულმა მწერალმა არ გაგვავანბილა, გვესტუმრა და ძალიან გულგახსნილადც გველაუბრა. მიხილ ციხისთავის წყალობით რამდენიმე შეხვედრა გვექონდა კონსტანტინე გამსახურდიასთანაც, რომელიც იმჯერად „ვაზის ყვავილობაზე“ მუშაობდა და მიხილ დავიდოვის ხშირად სტუმრობდა ხოლმე. ის კი კულტურის მუშაკებს გვახვედრებდა მწერალს და ამით ძალიან ბედნიერები ვიყავით, – იხსენებს შორეულ, მაგრამ დაუვიწყარ წარსულს ნინა ყოჩიაშვილი.

სხვაც ბევრი აქვს მოსაგონარი ქალბატონ ნინას, რომელმაც ორმოცი წლის მანძილზე სხვადასხვა თაობის მსახიობებთან და რეჟისორებთან ერთად, რომლებიც დროსთან ერთად იცვლებოდნენ სცენაზე, იღვანა, იმრომა, ბევრი ტრაგიკული, კომიკური თუ სასასიათო როლი შესარულა, თავი დამახსოვრა მსახიობების და არაერთი სიგელი, დაბლობი თუ პრემია

დაიმსახურა. მას პირადი ცხოვრება დადინყებული ჰქონდა, ერთადერთი ქალიშვილი მზია, როგორც იტყვიან, კულისებში გაზარდა და 1983 წელს, (მისი ბოლო როლი იყო გ. ბათიაშვილის დრამაში ანეტას როლი) როცა პირველი შვილიშვილი ლადო ივანიძე დაიბადა, მიატოვა სამსახური და მთლიანად ოჯახს დაუბრუნდა. ლადოს ლევანი და ნინო მოჰყვა, შვილიშვილებს შვილთაშვილები-გოგორიც, დაჩი, ნია, ნინა ბებია ყველა მათგანს სჭირდება და ისიც, ასაკის მოუხედავად, თავს არ ზოგავს, ერთგულად ემსახურის მათ. ისინიც საპასუხო სიყვარულით და მზრუნველობით პასუხობენ. 34 წელია, ნინა ყოჩიაშვილი პენსიით და სოციალური დახმარებით ცხოვრობს. ეს ადვილი არ არის, დღევანდელ ყოვანში. მადლობა ღმერთს, ხანდაზმულობის მოუხედავად, ის ჯანმრთელია, რამდენადაც შეიძლება ამ ასაკში გქონდეს მხნეობა და შემართება, არ ანუხებდ არაფერს შენი არსებობით. ერთადერთი ნატვრა აქვს მხოლოდ – ღმერთო, ჯანმრთელი მიმყოფე ჩემი შვილი და მისი ოჯახიო!

უფალი გვარავდეთ, ნინა დეიდა, თქვენი დევნალი პატივისცემა დაიმსახურეთ. იცოცხლეთ თქვენი ოჯახის საიმედოდ. გილოცავთ ქართული თეატრის დღეს თქვენ და ყველა თაობის იმ ადამიანს, ვინც ერთხელ ჩაყლაპა სცენის მტვერი და ველარ შეეღია მას.

ნაირა მორაშვილი

„გაიტანეთ ბრენლადი!“

მართალია, სათაური კომედორი ფილმიდან ამოღებული ფრაზაა, მაგრამ, როცა წერილის მინარსს გაეცნობით, მიხვდებით, რომ სასაცილო, სწორედაც რომ არაფერია და როგორც იმ ფილმში ფინალი ნაწინასწარმეტყველები ნგრევით დამთავრდა, აქაც, შესაძლოა, შედეგი არასასურველი და სულაც, ფატალური გამოდგეს.

პირველ რიგში რამდენიმე უპიზოდს მოგიყვებით პირადი ცხოვრებიდან, შემდეგ კი განვახილავთ დღეს და ვიმსჯელოთ, რამდენად პრობლემური და საფრთხის შემცველია ეს ყველაფერი.

25 დეკემბერს, პატრიარქის აღსაყდრების 39 წლისთავის დღეს, დღის წირვაზე ქალაქის ცენტრში, ლეთისმშობლის მიძინების ეკლესიაში მივიღოდი. ცხრა საათი სრულდებოდა. ის იყო, ევდომილის ქუჩიდან ჰერეთის (ყოფილი სტალინის) ქუჩაზე ჩაფხუვი, რომ თვატრის ქუჩიდან ძაღლების მთელი ხროვა გამოვარდა და ყფითა და კბილთა ღრჭრით ჩემსკენ გამოეძახა. შემინებულმა ვიკოვლე, მაგრამ ის კი ვიპარე, რომ ზურვით მესერს მივყვებოდი, რათა ზურვიდან მაინც დაცული ვყოფილიყავ და რაც ძალი და ღონე მქონდა ჩანთით, რომელიც, საბედნიეროდ, თან მქონდა (ხშირად ეკლესიაში ჩანთა არ მიმაქვს, არ მჭირდება) ვიგერიებდი მთელი ღამე ნაწინასწარ და მიერ ძაღლებს, რომლებმაც, როგორც ჩანს, საკბილო ვერაფერი იპოვეს ჩვენი ქალაქის ცარიელ ნაგვის ურნებში, სადაც არც თუ ისე შეძლებული ხალხი საქმლის ნარჩენებს, კარგა ხანია, აღარ ყრის, რადგან თავადაც უჭირს. ასე გაგრძელდა რამდენიმე წუთი, რომელიც მე საუკუნედ მომეჩვენა, რადგან თვალნინი დამიდა, როგორ დამგლეჯდნენ ნაწილ-ნაწილ ეს გაველურებული ცხოველები, თუ ერთი ნაბიჯიც ვიდრე. შიშისაგან ჩემი კოვილი ცას სწვდებოდა. საბედნიეროდ, თვატრის ქუჩიდან ევდომილის ქუჩისკენ მიმავალ მანქანაში ახალგაზრდა მძღოლმა ჩემი ხმა გაიგონა, მანქანა მოატყრილა და... შიშისაგან აკაკნკალეული ეკლესიაში მიმიყვანა, სადაც სანთელი დავანთე და ღმერთს მადლობა შევწირე, მხსნელად რომ მომივლინა ის კეთილშობილი ადამიანი, რომელმაც გადამარჩინა.

ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის, რომ ჩვენ, გაზეთ „შპრაპი“ რედაქციის თანამშრომლები, არა მარტო ვაკეთებთ და ვქმნით გაზეთს, არამედ უზრუნველყოფთ კიდევ მის ხელმძღვანელ მითა-ნასაც. ამიტომ, ქალაქის ქუჩებში სისტემატურად გვინებს მოძრაობა. ნაახალწლევს, გაზეთის დარიგებისას, ჩვენს ერთგულ ხელმძღვანელს, ბიძინა პაპაშვილს (ბედის ირონია, რადგან, არცთუ შორეულ წარსულში სწორედ ბიძინა პაპაშვილს სამსახურებრივი მოვალეობით ეკისრებოდა მანანალა ძაღლების ლიკვიდაცია და მას ამისათვის კი არ სჯიდნენ ან აჯარიმებდნენ, არამედ პასუხს სთხოვდნენ, თავი-

სი მოვალეობა პირნათლად რომ შეესრულებინა!) გაზეთი ვერ დაუჭრებოდა, რადგან მის ჭიშკართან ორი მანანალა ძაღლი, მზის გულს მიფიცებულნი, არხინად იწვა და საიდანაც მოთრულ საახალწლო სუფრიდან მორჩინელ ძაღლებს შეეცქეოდა. არაერთხელ დამჭირებია „დამხმარე“ პოლიციის და დაცვის პოლიციის ოფისებში შესასვლელად, რადგან იქ სისტემატურად სახლობს სამი ძაღლი, რომლებიც, არცთუ ისე კეთილგანწყობილი და უწყინარი არიან უცხო ადამიანების მიმართ. ბევრი რომ არ გაგაგრძელო, მთელი ქალაქი შეწუხებულია (თუ აღმოფთვებული არა), ქუჩაში მანანალა ძაღლების განუსაზღვრელი მომრავლებით. ეს მარტო

ინფორმაცია თავს იყრის ჩვენთან, რედაქციამ- მოქალაქეები მოგმართავენ, ხმა ამოვიღოთ და ხმაძალა განვატყუოთ ამ პრობლემის შესახებ, რომელიც კარგად ვიცით, რომ უცხო არ არის არც რაიონის ხელმძღვანელობისათვის, არც სამედიცინო დაწესებულებისათვის, რომელსაც დაკბენილი ადამიანები ასაცრელად მიმართავენ, რადგან სასიკვდილო ინფექციის- ცოფის საშიშროება უაღრესად მაღალია ამ გაველურებულ ცხოველებში. მართალია, ოჯახის ძაღლების აცრები სამთავრობო პროგრამის ფარგლებში ინტენსიურად ტარდება, მაგრამ ასეთი პროცედურა ქუჩის ძაღლებს არ ეხებათ. ამიტომ არის, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონულ ცენტრში აცხადებენ: - ცოფზე ასაცრელად მომართვიანობა ყოველნაირად იზრდება. ჩვენს სათაო

გათვალისწინებული სანქციების შესახებ ვერსად ნავიკითხეთ. ის, რომ დათვის, მგლის, ფოცხვერის და სხვათა მოკვლა სერიოზულად მაღალ საფარიმო თანხებს ითვალისწინებს, ნამდვილად წერია, მაგრამ იქ მანანალა ძაღლები ნახსენები არ არიან. საინტერესოა, რა არგუმენტს იშველიებენ ეს არასამთავრობო ორგანიზაციები, ასე რომ აშინებენ ყველას!? ამ ხმაურით ისინი „საკბილოს“ ხომ არ ეძებენ, გრანტები რომ მიიღონ და მუშაობაში ჩაეთვალოთ, იმაზე პასუხისმგებლობას კი ხვალ შეიძლება რომელიმე ადამიანისთვის დასახიჩრებით ან სიკვდილით დასრულდეს დღე, არ კისრულობენ. დავფიქრებდი, ჩვენი შვილები უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის, თუ მანანალა ძაღლი, რომელსაც ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

გორგასალის ქუჩიდან, ერთმანეთის მოყოლებით ორი ქალბატონი გამოვიდა. ორივეს ხელში მორბილი ფოხი ეჭირა. წინ მიმავალი შევიცანი, ის ქალაქის №1 საჯარო სკოლის დამლაგებელი იყო. მეორე ქალბატონმა ფეხი შეანელა და დამელოდა. მიახლოვებული შემეჩერა და მითხრა: მინტერესებს, რატომ არ იღებს რედაქცია ხმას მანანალა ძაღლების შესახებ? გადავჭამეს, ქალბატონო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ამ ზამთარს უკვე სამჯერ დამესხნენ თავს, ერთხელ ქურთუკი და ჩექმა დამახიეს, ერთხელ დამკბინეს და ახლა აცრებს ვიტყვებ. დილით სახლიდან რომ გამოვიდვარ, ვფიქრობ, რომელ გზაზე წავიდე, რომ არ გადავყარო ძაღლებს, მაგრამ ასეთი გზა არ არსებობს, ისინი მთელ ქალაქს არიან მოდებული და ვჯუფ-ჯგუფად დაძრინან, ერთი ჩვენს



იყოს, როგორც ძაღლების მიმართ შიშით განმსჭვალული ადამიანისა, გავჩუმდებოდი, მოვითმენდი, თუნდაც შევეჭამე, მაგრამ ჩვენ ყველამ ხომ ვიცით, რომ ქალაქი გადაივსო ძაღლებით. ისინი გვხვდებიან ჯგუფ-ჯგუფად და ცალკე-ცალკე ყველგან- სკოლებთანაც, საბავშვო ბაღებთანაც, საავადმყოფოსთანაც, ქალაქის ცენტრშიც და გარეუბნებშიც. ისე, რომ დაცული და უსაფრთხო არც ერთი ადგილი აღარ არის. ამაზე წუხან მშობლები, რომლებიც სკოლასა თუ საბავშვო ბაღში შვილებს უმეთვალყურედ ვერ უშვებენ, და თუ იძულებული არიან და უშვებენ, გული უსდებათ, რომ მათი შვილების ჯანმრთელობას და სიცოცხლესაც კი, საფრთხე რეალურად ემუქრება, წუხან სათნოების სახლში მიმავალი მოხუცები და ავადმყოფები, რომლებსაც ხშირად ჩანთით საქმელი მიაქვთ და სწორედ ამ „ნადავლისათვის“ შეიძლება თავდასხმის ობიექტები გახდნენ, წუხან მალაზიის მეპატრონეები და ბაზრის გამყიდველები, რომლებიც არაერთხელ გამხდრან მოწმე ადამიანებზე ძაღლების ხროვის თავდასხმისა და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო. ყველა ასეთ შემთხვევაზე

ოფისში გაკვირვებას ვერ ფარავენ, რადგან, ყველა რაიონზე მეტ ცოფის ვაქცინას ჩვენ ვითხოვთ! არაერთხელ მივმართეთ ოფიციალურად სხვადასხვა ინსტანციებს, მაგრამ უშედეგოდ. ამ პრობლემების მოგვეჩვენებე პასუხისმგებლობას ვერავინ იღებს.

ვერც რედაქციამ მიაკვლია ორგანიზაციას, რომელსაც ეს ფუნქცია ეკისრება. ვიცით ის, რომ ქვეყანაში არსებული ვოლიერები გადატვირთულია და რაიონის ხელმძღვანელობამ ორგანიზება რომც გაუკეთოს მათ დაჭერას, ვერსად ჩაბარებენ. რაიონისათვის საკუთარი ვოლიერის აშენება და შემდგომში მისი შენახვა კი ისეთ თანხებს მოითხოვს, ჩვენი ბიუჯეტი ამ ხარჯს ვერანაირად ვერ დაძრავს. მანანალა ძაღლების ლიკვიდაციაზე კი ცხოველების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები მამინე ხმაურს ატყვენ, ამიტომ ყველა ერთდება ასეთ ქმედებას. თუმცა, ერთი რამ შეიძლება ვთქვათ, რომ მანანალა ძაღლის მოკვლისათვის კანონით

უკვე აუტანელი და მოუთმენელია ეს ყველაფერი, რადგან ძაღლები სტიქიურად მრავლდებიან და მრავლდებიან. თითქოს მოჯადოებულ სრუხე ტრიალს ჰგავს ამ პრობლემებზე ჩვენი მსჯელობა, მაგრამ ხომ უნდა გამოინახოს რაიმე გამოსავალი, ხომ არ შეიძლება მოსახლეობა ითრეუნებოდეს და შიშით კანკალებდეს მანანალა, უპატრონო ძაღლების გამო. ეს პრობლემა რომ გასათავისო, ქუჩაში ფეხით სიარული სულაც არ არის აუცილებელი, მანქანის ფანჯრიდანაც კარგად ჩანს! ამიტომ, ყველამ ერთად უნდა მოვიფიქროთ ამ პრობლემიდან თავის დაღწევის გზა, ვიდრე გვიანი არ არის და ვიდრე ძაღლების მიერ დაფლეთილ-დასახიჩრებული ან შეჭმული ადამიანის გამო არ გავხვეულვართ სკანდალში. მეორე გვიანი იქნება სინანული. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აზრს და მოთხოვნას გამოვხატავ ამ წერილით. 9 იანვარს სამსახურიდან ვბრუნდებოდი. 5 საათი გადასული იყო, საღამოვდებოდა. საჯარო რეესტრს რომ გავუხსნოდი,

ერთი ჩვენს ყველას - ქალს, კაცს, ბავშვს. ბაზრის ტერიტორიაზე ვმუშაობ და ბევრჯერ გავმხდარვარ ძაღლების ადამიანზე თავსასხმის მოწმე. დღეს დილით სახანძროდან ბიჭები რომ არ გადმოშველებოდნენ ერთ-ერთ ჩვენს

გამყიდველს, ალბათ დაგლეჯდნენ. დილითაც სამიზა გავლა და საღამოთაც, უკვე გაუხადისა მათ ხელში ჩვენი ცხოვრება. ვინმემ რაიმე ხომ უნდა იღონოს. მათი ლიკვიდაცია არ შეიძლება. სიმართლე გითხრათ, მეც მეცოდებთან, მაგრამ, როცა არჩევანის წინაშე ვდგები, ძალს ადამიანს ვერ ვამჯობინებ. მარტო ლაპარაკი კი არ არის, იმ ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოიპოვეს გრანტები, ააშენონ მათი თემსაფარი, ჩვენ უსაფრთხო ცხოვრების საშუალება მოგვცენ და, კი ბატონო, ჩვენ ძაღლის არსებობის და ყოლის წინააღმდეგ კი არ ვართ, ვისაც რამდენი უნდა იმდენი ჰყავდეს, მაგრამ ხალხისაგან ზოლირებული, თავის ეზო-კარში, კეებით უზრუნველყოფილი, რომ ადამიანებზე აღარ ინევიდნენ, ვხედავთ, ქალაქში დადიან ადამიანები, რომლებსაც თავის რჩენაც უჭირთ, მაგრამ 4-5 ძაღლი დასვენებთ თან. როცა „პატრონს“ არ ხედავენ, ისინიც ძაღლის აგრესიულები არიან, ამბობს ქეთინო მეჭურჭლიძე.

თეორეზასო მკითხველო, ქვემოთ გთავაზობთ არასამთავრობო ორგანიზაციის პოზიციას მანანალა ძაღლებთან დაკავშირებით. ნაიკითხეთ და ეთანხმებით თუ არა, დასკვნა თქვენთვის მომინდია. მე პირადად, არა!

ნაირა გორაშვილი

როგორ დავიცვათ თავი მანანალა ძაღლებისგან?

ამ რჩევებს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იძლევიან, რომლებიც მანანალა ძაღლების უფლებების დაცვით არიან დაკავებული.

თეორეზასო წინძრინძი, საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება, უფლებადამცველი:

- **ზოგადად რატომ კბენს ძაღლი ადამიანს?**
- უმეტესად ბავშვების დაკბენის მიზეზი ის არის, რომ ისინი ხშირად ძაღლებს ანვალებენ, - ქვებს, ჯოხებს ესერიან და ძაღლის მიმართ აგრესიას ავლენენ.
- **როცა ქუჩაში მოულოდნელად გესხმის თავს?**
- ეს ასე არ ხდება. თუმცა გამორიცხული არ არის მას ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდეს, მაგრამ ეს იმის ბრალი არ არის, რომ ის აუცილებლად ცოფიანია. ცოფი მაინც იშვიათად აქვთ.

- **როგორ უნდა დავიცვათ თავი მანანალა და აგრესიული ძაღლებისგან, როცა ისინი ასე დაძრინან ქალაქის ქუჩებში?**
- ეს ყველაფერი ხალხზე დამოკიდებული. მსოფლიოში ოფიციალური მონაცემებით, საქართველო ძაღლის მიერ დაკბენილი ადამიანების რაოდენობით მონიანე ადგილზეა. წელიწადში დაახლოებით, 50-60000 ადამიანი იკბინება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ყველაზე აგრესიული ძაღლები არიან. ამის ბრალი ის არის, რომ ცხოველების მიმართ ყველაზე აგრესიული ხალხი საქართველოში ცხოვრობს და ცხოველიც მათ მიმართ ადეკვატურ რეაქციას ავლენს. თავშესაფარში, ვოლიერებში 300 ძაღლამდე თავმოყრილი. აბსოლუტურად უცხო ცხოველთან, რომლებიც აგრესიულობის გამო არიან იქ ჩაკეტილები, ჩვეულებრივად შევიდვარ და ვეკონტაქტები. როდესაც ცხოველი ხედავს,

- რომ ადამიანს მისი ეშინია, ან ცუდად არის მის მიმართ განწყობილი, ადამიანი ადრენალინს გამოყოფს, ეს ადრენალინი ცხოველზე მოქმედებს.
- **მაგრამ რა ქნას ადამიანმა, როდესაც ქვეცნობიერად ძაღლის ეშინა?**
- მსოფლიოს ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში, არსებობს ბავშვებისთვის (საბავშვო ბაღიდან სკოლის პერიოდამდე) გაკეთილები, რომელიც ცხოველებთან ურთიერთობას ეხება. ასეთი კულტურა ჩვენთან არ არსებობს. სანამ საქართველოში სალანძღავ სიტყვებზე იქნება: „მამა-ძაღლი“, „შობილაძაღლი“, „ძაღლი“ და მშობელი პატარას ასე შეაშინებს: ძაღლი მოვა და ტაკოზე გიკბენს, ეს ცუდ შედეგს მოგვიტანს. ასეთ დროს ბავშვს ცხოველებსადმი შიში უფრო თარდება. მის მიმართ სიძულვილიც უჩნდება, რასაც ცხოველი კარგად გრძობს და თავდაცვაზე გადადის. ეს თავდაცვა კი ხშირ შემთხვევაში,

- დაკბენით გამოიხატება. ჩვენთან შეგნებულ მშობლებს მოჰყავთ ბავშვები და უნდათ, რომ სპეციალური ტრენინგები ჩაუტაროთ, რომ ცხოველების მიმართ შიში დაძლიონ.
- **ცხოველი 30-40 მეტრის მანძილზე ყველაზე კარგად გრძობს ადამიანის განწყობას. მსოფლიოს ცხოველთა დაცვის კონვენციამ წერია, სახელმწიფო ვალდებულია, ადრეული ასაკიდან მოხდეს ბავშვების ამ მიმართულებით მეცადინეობა და იქნება მრავალფეროვანი ამ სიტუაციაში მათი მენტალიტეტი.**
- **სანამ ჩვენთან მენტალიტეტი ამ მიმართულებით ამაღლება, რა გავაკეთოთ?**
- ვერაფერს გავაკეთებთ. ჩვენზე ვიმეორებ, ყველაფერი დამოკიდებული. როგორ გინდათ, რომ ძაღლი უთხრათ, აღარ იყო აგრესიული?
- **თქვენი თქმით, ძაღლის აგრესიულობა ადამიანის ბრალი ყოფილა...**

- დიან, ასე... ცხოველს აქვს სიყვარულის, ურთიერთგაგების უნარი...
- **კი, მაგრამ არაერთი მაგალითი არსებობს, როცა ცხოველი არ იწინებს თავის გამზრდელს... ყველას ახსოვს ის ამბავი, როცა ცირკში ლომმა თავისი მომვლელი დაგლეჯა...**
- კი, ვიცი ეგ ფაქტი და შევისწავლე კიდევ. ის მომვლელი ლომთან გალიაში მივრალი შევიდა და ფეხებზე დარტყმა დაუწყო და ამით მისი აგრესია გამოიწვია. ვიმეორებ, ცხოველის აგრესია დამოკიდებულია ადამიანზე, პარლამენტში, რომელიც არ ლეზულობს შესაბამის კანონს და მხოლოდ ერთმანეთის მიმართ სიძულვილს თესავს... ძაღლს სიყვარული და ერთგულების საოცარი უნარი გააჩნია. მინახავს ძაღლი, რომელიც პატრონის საფლავს დაკვდომია. ერთი ადამიანი დამისახველეთ, რომელიც თავისი საყვარელი პიროვნების საფლავზე მომკვდარა?

(ავტო) სიკვდილის არითმეტიკა: - 21 დღეში გზებზე 19 ადამიანი დაიღუპა!

2016 წლის 11 თვის მონაცემით, საქართველოში 6 360 ავტოსაგზაო შემთხვევა დაფიქსირდა ან 600-მდე მოძალადე ბარდაიცივალა

მართალია, ყოველდღიურად გვესმის ინფორმაცია ტრაგიკული შემთხვევებით დასრულებული ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ, მაინც რეაგირება წლების ტოლფასია. ცუდად მუშაობს ადმინისტრირებისა და აღსრულების სისტემა, რომელმაც მიმოივალს უსაფრთხოების წესების დაცვა უნდა აიძულოს. მძღოლს ყველაზე მეტად მართვის მონომობის დაკარგვის და დიდი ჯარიმის ემინია. რახანია, ვითხოვთ ახალი სისტემის დანერგვას, რომელიც საშუალებას იძლევა, ყოველ უხეშ დარღვევაზე მძღოლს ქულეუნი ჩამოაკლდეს (მისთვის მინიჭებული 100 ქულიდან), ამგვარად მან

ბული ინფორმაციით, მძღოლი დიდი სიჩქარით მოდიოდა, საჭე ვერ დაიმორჩილა და მეგობრობის პროსპექტზე გმირთა მემორიალს შეეჯახა).

3 იანვარს მცხეთასთან ახლოს 2 გოგონა და 2 ბიჭი დაიღუპნენ, მათი ავტომობილი ხეს შეასკდა...

12 იანვარს ხაშურთან მომხდარ ავარიას სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა...

აღსრულების სისტემა, რომელმაც მძღოლებს უსაფრთხოების წესების დაცვა უნდა აიძულოს.

მძღოლს ყველაზე მეტად მართვის მონომობის დაკარგვის და დიდი ჯარიმის ემინია. რახანია, ვითხოვთ ახალი სისტემის დანერგვას, რომელიც საშუალებას იძლევა, ყოველ უხეშ დარღვევაზე მძღოლს ქულეუნი ჩამოაკლდეს (მისთვის მინიჭებული 100 ქულიდან), ამგვარად მან

ფხულო სესიაზე განიხილავენ, თუმცა არ არის გამორიცხული, ისევე გადაიდოს.

წინა მონვევის პარლამენტში დაეყენეთ საკითხი, რომ კანონპროექტის განხილვა დაჩქარებულიყო, რაზეც მოგვიგეს, წინ არჩევნებია, ამდენად, ეს თემა ახლა ინტერესის საგანს არ წარმოადგენს და პლენარულ სხდომაზე რომ გავიტანოთ, შესაძლოა, ჩავარდესო.

ამჯერად იმავე მოთხოვნით ახალი პარლამენტის თავმჯდომარეს, ირაკლი კობახიძეს მივმართეთ, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ განხილვა შემოდგომამდე გადაიდოს.

- ესე იგი, მდგომარეობა უიმელოა?

- ეკონომიკის სამინისტრომ შეიმუშავა საგზაო უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა 2017 წლისთვის, რომელიც მთავრობამ 29 დეკემბერს დაამტკიცა, მას პრემიერმა მოაწერა ხელი. ეს არის ოფიციალური დოკუმენტი, რომლის მე-6 პუნქტში უკონტაქტო პატრულირებისა და ქულათა სისტემის აუცილებლობაზეა ლაპარაკი. ჩვენ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით გავაგრძელებთ აქტიურობას, პარლამენტი ვალდებულია, დამტკიცებული სამოქმედო გეგმის მიხედვით იმუშაოს.

- ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკა ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო უარესდება. ამას რა განაპირობებს?

- პირველ რიგში ის, რომ იმატა ავტომობილებისა და გამოუცდელი მძღოლების რაოდენობამ. ავტოსაგზაო შემთხვევებიც გახშირდა, მით უფრო, რომ ადმინისტრირებისა და აღსრულების მექანიზმი მოშლილია. საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონის ძალაში შესვლას აზრი არ ექნება, თუკი დასჯის სისტემა და მიდგომა თანასწორუფლებიანობის პრინციპზე არ იქნება აგებული და წესების ნებისმიერ დარღვევს

თანაბარ მდგომარეობაში არ ჩააყენებს.

- საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციების გამკაცრება ამ მძიმე ვითარებაში ერთადერთი გამოსავალია?

- ქულათა სისტემა დაინერგა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირის 28-მდე ქვეყანაში, რამაც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრევენციის წილი მნიშვნელოვნად გაზარდა და საგზაო უსაფრთხოების დონე გააუმჯობესა. სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები ცხადყოფს, რომ ქულათა მინიჭების სისტემის შემოღებამ 20-30%-ით შემცირა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები. ასე რომ, ზემოთ აღნიშნული კანონის ამოქმედება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მდგომარეობას, რაც ათეულობით და, შესაძლოა, ასეულობით სიცოცხლის გადარჩენის ტოლფასია.

შეზარაბი სტატისტიკა

წინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, 2015 წელს საქართველოში 6432 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაა რეგისტრირებული.

ეს მაჩვენებელი 440-ით აღემატება 2014 წლის მონაცემებს. 922-ით მეტია 2013 წლის რეგისტრირებულ შემთხვევებზე და 1073-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს.

2015 წელს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად საქართველოში 602 ადამიანი დაიღუპა. წინა წელთან შედარებით დაღუპულთა რაოდენობა 91-ით არის გაზრდილი.

გაზრდილია დაშავებულთა რაოდენობაც. - 2012 წელს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად 7 734 ადამიანი დაშავდა, 2013 წელს - 8 045, 2014 წელს - 8 536, ხოლო 2015 წელს დაშავებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 651-ით გაიზარდა.



2016 წლის 11 თვის მონაცემით, 6 360 ავტოსაგზაო შემთხვევა დაფიქსირდა და 600-მდე მოქალაქე გარდაიცვალა.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრით, საგზაო უსაფრთხოების წესების უხეშად დამრღვევის მიმართ როგორც სახელმწიფომ, ასევე საზოგადოებამ ნულოვანი ტოლერანტობა უნდა გამოიჩინონ.

ქაბ ლალიაშვილი, "ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის", გამგობის თავმჯდომარე:

- ყოველდღიურად გვესმის ტრაგიკული შემთხვევებით დასრულებული ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ და რეაგირება წლების ტოლფასია. ცუდად მუშაობს ადმინისტრირებისა და

რამდენიმე დღეშიც კი შეიძლება დაკარგოს მართვის მონომობა.

საჭიროა ქუჩებში უკონტაქტო პატრულირების დანერგვაც როგორც ქულაქმი, ასევე მაგისტრალზე, მეტი ვიდუოვალისა თუ რადარის დამონტაჟება. საგზაო უსაფრთხოების გამკაცრებული რეგულაციები შეამცირებს სიჩქარის გადაჭარბებისა და საპირისპირო ზოლზე გადასვლის შემთხვევებს.

- რატომ გაჭიანურდა საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონპროექტის განხილვა პარლამენტში?

- ჯერ კიდევ გასულ წელს იყო ლაპარაკი, რომ ეს კანონი 2017 წლისთვის უნდა ამოქმედებულიყო. ახლა გვეპირდება, რომ მას თებერვალში, საგზა-

ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკა დღითი დღე მძიმდება - ბოლო დღეების მანძილზე ავტოსაგზაო შემთხვევების ქრონოლოგიური სურათი თავზარდამცემია:

14 დეკემბერს ურეკში ავტოსაგზაო შემთხვევას ოთხი კაცის სიცოცხლე ემსხვერპლა (ერთ-მანეთს საპირისპირო მიმართულებით მიმავალი "ოპელი" და ტრაილერი შეეჯახნენ);

23 დეკემბერს რუსთავეის მსუბუქი ავტომობილების შეჯახების შედეგად სამი ახალგაზრდა გარდაიცვალა. მიზეზი გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობა გახდა;

26 დეკემბერს ახმეტაში ავტოავარიის გამო ორი კაცი დაიღუპა;

28 დეკემბერს ქობულეთში ავტოსაგზაო შემთხვევას მოქალაქე ემსხვერპლა.

2017 წლის პირველ იანვარს რუსთავეის ავტოავარიას 5 ახალგაზრდა შეენირა (გავრცელებული

გამოსათხოვარი

ლია გომელაური



ჩვენო ლია, თითქოს გუშინ იყო ის დიდი ტყვილი, რომელიც შენმა სიკვდილმა განგვაცდევინა და რომელიც დღემდე არ განულებულა, თუმცა ერთი წელი გავიდა. ერთი წელი თავის ყველა წესით და რიტუალთი გასრულდა. 11 იანვარს შენი ახლობლები, დიდი სამეგობრო და კოლეგები ისევე მოვედით შენს განახლებულ, გამშვენებულ საბოლოო განსაცვენებელთან, სადაც შენი სურათი შემოგვეგება. აგინეთ წმინდა სანთელი, მამა ნიკოლოზმა და მამა პეტრემ შენი სულის საოხად პანაშვიდი გადაიხადეს. მერე თითო ჩქიქს თავი წაუქციეს ბიჭებმა და დანანებით ითქვა შენი შესანდობარი. დანანებით, რადგან შენ თითოეულ ჩვენგანს ძალიან დააკლდი შენი სიკეთით, შენი ვაჟკაცური ხასიათით. განუმეორებელი კოლორიტი იყავ და ასეთი დარჩი ჩვენს მესხიერებაში. რამდენი ტკბილი და თბილი, მხიარული და სევდიანი მოგონება გვაკავშირებს ამ 20 წლის მანძილზე, რომელიც ჩვენთან ერთად, ერთ ჭერქვეშ გაატარე. ძალიან ხშირად გიხსენებთ, აქ ყველაფერი შენს თავს გვაგონებს. გვინდა, მაგლობა ვუთხრათ შენს მეუღლეს-გიასს, რომელმაც პირნათლად მოიხადა ვალი შენი ხსოვნის წინაშე. ნათელში იყავ, ჩვენო მეგობარო, რამდენი წელიც გინდა გავიდე, შენ მუდამ დარჩები ჩვენს მესხიერებაში. უფალს ებარებოდე.

მონატრებით, შენი „შირაქელეპი“

ისრაელმა დამასკოსთან ახლოს მდებარე სამხედრო-საჰაერო ბაზაზე სარაკეტო იერიში მიიტანა

სირიის მთავრობის განცხადებით, ისრაელმა სარაკეტო იერიში მიიტანა დედაქალაქ დამასკოსთან მდებარე მის სამხედრო-საჰაერო ბაზაზე. როგორც სირიის შეიარაღებული ძალების სარდლობამ დააზუსტა, ნუხანდელი ღამის განმავლობაში, ჩრდილოეთ ისრაელიდან გაშვებული რამდენიმე რაკეტა სამხედრო ბაზის იმ ტერიტორიაზე მოხვდა, რომელსაც რუსუბელიკური გვარდიის ელტური შენარეთი იყენებს.



განცხადებაში საუბარია „აღმამფრთხელებელ თავდასხმაზე“, თუმცა არაფერია ნათქვამი მსხვერპლის ან ნგრევის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია ისრაელს არც დაუდასტურებია და არც უარყვია. ხსენებული სამხედრო-საჰაერო ბაზიდან, რომელიც სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის რეზიდენციიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, წარსულში იერიშები სირიის დედაქალაქ დამასკოს რაიონში განთავსებული ანტისამთავრობო ძალების წინააღმდეგ ხორციელდებოდა.

დათო რობიტაშვილი, გურამ ნიკოაშვილი, გიორგი გონაშვილი, ჯემალ კოტაშვილი, ბერდო ნასრაშვილი, ნელი ლვინიაშვილი, ომარ ალადაშვილი, მარიკა გონაშვილი, ნორა სულაშვილი, სოსო გოგაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ვიტალი, მარინა, დათო და ზურაბ პოპიაშვილებს დედის და ბებუის ლია მჭედლიშვილ-პოპიაშვილის გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: გოგლა მაჭარაშვილი, ჭაბო ალუიშვილი, ნოდარ ბაცაცაშვილი, გორა ნატროშვილი, გელა გველუკაშვილი, მარინა სონდულაშვილი, ლეილა გულაშვილი, აკაკი კოტაშვილი, მედიკო მჭედლიშვილი სამძიმარს უცხადებენ ლალი ლათიაშვილის მეუღლის, მავა და ნინო ხუხიაშვილებს მამის ნუზბარის გარდაცვალების გამო.

დედოფლის წყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო სამძიმარს უცხადებს საკრებულოს წევრს ბესიკ ქავთარაძეს მამის ლევან ძაძოთარაძის გარდაცვალების გამო.

დედოფლის წყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო სამძიმარს უცხადებს საკრებულოს წევრს დავით ხუმარაშვილს დედის თინათინ ხუმარაშვილის გარდაცვალების გამო.

რას გულისხმობს საბანკო კრედიტების ლარიზაციისა და სუბსიდირების პროგრამა

საქართველოს მთავრობამ საბანკო კრედიტების/სესხების ლარიზაციაში კონვერსიის და მათი ბიუჯეტიდან სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამა დაამტკიცა. პროგრამა ძალაში შედის 2017 წლის 17 იანვრიდან და 25 მარტამდე მოქმედებს.

რა არის სახელმწიფო პროგრამის ძირითადი მიზანი?

ამ სახელმწიფო პროგრამის მიზანია საქართველოს მოქალაქეების მიერ 2015 წლის 1 იანვრამდე აშშ დოლარში აღებული საბანკო კრედიტების/სესხების ლარიზაცია (კონვერსია) და საქართველოს მთავრობის მიერ სუბსიდირების განხორციელება.

რას ნიშნავს კრედიტის/სესხის კონვერსია?

კონვერსია გულისხმობს აშშ დოლარით გაცემული საბანკო კრედიტის ქართულ ლარში ასახვას (გადაყვანას).

რას გულისხმობს კრედიტის/სესხის პორტირება?

პორტირება ნიშნავს ბენეფიციარის მიერ კრედიტის ერთი ან რამდენიმე ბანკიდან სხვა ბანკში გადატანას. მთავრობის დადგენილებით თანახმად, თუკი ბენეფიციარს კრედიტები გააჩნია რამდენიმე ბანკში, მას უფლება აქვს, სურვილისამებრ, მოახდინოს მათი გადატანა (ანუ პორტირება) ნებისმიერ ერთ ბანკში.

ვინ შეიძლება იყოს პროგრამის ბენეფიციარი?

პროგრამის ბენეფიციარი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე (მსესხებელი), რომლის ანგარიშზეც მოხდა კრედიტის ჩარიცხვა და რომლის

2015 წლის განმავლობაში შემოსავლების წლიური ოდენობა, სსიპ - შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზების შესაბამისად, ბანკის მიერ გადამონმების მომენტისთვის არ აღემატება 100 000 (ასი ათასი) ლარს.

რა ოდენობის კრედიტზე ვრცელდება სახელმწიფო პროგრამა?

პროგრამის მოქმედების ფარგლები ვრცელდება ბანკო კრედიტზე/სესხზე, რომლის ძირითადი თანხის შესასრულებელი ვალდებულება 2016 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით საერთო ჯამში არ აღემატებოდა 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარს ან მის ეკვივალენტს კონვერსიის განმახორციელებელ ბანკში, ხოლო კრედიტის სხვა ბანკში გადატანის შემთხვევაში - იმ ბანკში (ბანკებში), საიდანაც ხორციელდება კრედიტის/სესხის გადატანა (პორტირება).

რას ნიშნავს სუბსიდირება?

სუბსიდია არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი დაუბრუნებელი ტრანსფერი.

რა ოდენობის კრედიტი ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირებას?

სუბსიდიას ექვემდებარება კონვერსიის განმახორციელებელ ბანკში (ხოლო პორტირებისას - იმ ბანკში, საიდანაც

პორტირება ხორციელდება), კონვერსიის განხორციელების დღეს ერთ ბენეფიციარზე უძრავი ნივთი უზრუნველყოფილი, აშშ დოლარით დენომინირებული კრედიტის ჯამურად შესასრულებელი ვალდებულება ან მისი ნაწილი, რომელიც არის უმცირესი შემდეგი თანხებიდან: ა) 2015 წლის 1 იანვრისათვის ბანკებში არსებული კრედიტის ძირითადი შესასრულებელი ვალდებულების ჯამური მოცუ-

ლების მიხედვით.

ამასთან, კონვერსიის განხორციელების დღეს, ხოლო პორტირების შემთხვევაში - არაუგვიანეს 8 სამუშაო დღისა, - კრედიტთან მიმართებაში ბანკი უნდა იყოს პირველი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორი (იპოთეკარი).

როგორია სუბსიდირების ფარგლები?

სუბსიდიას ექვემდებარება ერთ ბენეფიციარზე მხოლოდ ერთჯერადად და მხოლოდ ერთ ბანკში კონვერსიის დღეს არსებული კრედიტის ნარჩენი ლირებულება. როგორც შემთხვევაში, იმ ბენეფიციარს კრედიტები აღებული აქვს რამდენიმე ბანკში, მას შეუძლია მოახდინოს მათი გადატანა (ანუ პორტირება) რომელიმე ერთ ბანკში.

რა ვადაში უნდა მოხდეს კრედიტის/სესხის კონვერსია და როგორი წესით?

კონვერსიის განხორციელების მიზნით, ბენეფიციარმა 2017 წლის 17 იანვრიდან 2017 წლის 17 მარტის ჩათვლით უნდა მიმართოს კრედიტის გამცემ ბანკს, ხოლო კრედიტის გადატანის (პორტირების) შემთხვევაში - კონვერსიის განმახორციელებელ ბანკს.

ბანკი კრედიტის კონვერსიას ახორციელებს 2017 წლის 17 იანვრიდან 2017 წლის 24 მარტის ჩათვლით პერიოდში,

კონვერსიის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ერთ აშშ დოლარზე 20 თეთრით ნაკლები გაცვლითი კურსით. ამასთან, დაუშვებელია კონვერტაციის ან რაიმე მსგავსი დამატებითი საკომისიოს დარიცხვა.

გარდა ამისა, ბანკს ეკრძალება, რომ ლარებში გაცემულ კრედიტზე ბენეფიციარს დააკისროს კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული რაიმე სახის ფინანსური ხარჯი.

კიდევ რა შეღავათი მოქმედებს ამ პროგრამის ბენეფიციარების მიმართ?

ბენეფიციარი თავისუფლდება ასევე უზრუნველყოფის საგნად გამოყენებულ (იპოთეკით დაფინანსებულ) უძრავ ნივთზე უფლების ან/და ვალდებულების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაციის საფასურისგან.

საფასურისგან გათავისუფლების საფუძველია ბანკსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ან ბანკის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის მიწოდებული შესაბამისი ინფორმაცია.

რა სახის კრედიტზე/სესხებზე არ ვრცელდება ეს სახელმწიფო პროგრამა?

პროგრამის მოქმედება არ გავრცელდება იმ საბანკო კრედიტზე/სესხებზე, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებულია სახელმწიფოს თანამონაწილეობით.



უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

მარიამ მამისგადაშვილს!

ჩვენო პირველი მერცხალო, გვინდა მოგილოცოთ შეიდი წლისთავი. ბედნიერ ბავშვობას, ჯანმრთელობას და უღვევ სიხარულს გისურვებთ. უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეს.

ბიძა დავითი, პაპა დომენტი სუციშვილები; ბებო ლია ყონიაშვილი.

მარიკა გონაშვილ-ჯინაშვილს!

ჩვენთვის ძვირფასო და შესანიშნავო მეგობარო, გილოცავთ დაბადების დღეს -14 იანვარს. შენ ხომ საიუბილეო თარიღი -65 წლისთავი გისურვდება. შენი ცხოვრების გზას მუდამ სიყვარული და სიხარული გინათებდეს. შენ მზესავით ცხოვრობ, რომელიც სითბოს გაცემს და სამაგიეროს არ ითხოვს. შენმა სიკეთემ, სათნოებამ, გულკეთილობამ გაგინანგრძლივოს სიცოცხლის წლები შენს ყველა ახლობელთან ერთად. ღმერთი იყოს შენი ოჯახის მფარველი.

„წავლენ წლები, ძალფანი, მარად მშფოთვარე, მდინარე ივლის, მზე იცოცებს, ზღვა აღელდება, ჩვენ დავბერდებით, როგორც მუსა ათასწლოვანი მეფეობდა კი არასოდეს არ დაბერდება“.

დიდი სიყვარულით და პატივისცემით, მარიკა მოლაშვილი და ცინია პაპაშვილი.



გვიყვარხარ, შენი შვილები: ბორა და მარინა გომილაშვილები, რძალი ხათუნა გომილაშვილი, სიძე ბიბი ნატროშვილი, შვილიშვილები: გვანცა და ცოტნე გომილაშვილები, თემონა და თორნიკე ნატროშვილები, შვილთაშვილი ანა ნატროშვილი.

ჩვენთვის ამგაინო და ძვირფასო ადამიანო, გილოცავთ 85 წლის იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, დაე, დიდხანს შეგრჩენოდეთ ის ახალგაზრდული ენერჯია, რომელიც დღემდე მოგყვება. დიდხანს იცოცხლეთ ჩვენი ოჯახების საიმედოდ.

ძალიან გვიყვარხართ, დები: ლილი და მიმონა გომილაშვილები; დისშვილები: თამილა და თემურ ნადირაშვილები, ეთერი, ილია, ია ყაჭაშვილები ოჯახებით.

ლალი გურასაულს, ნოდარ ზურაშვილს!

გილოცავთ მეოთხე შვილიშვილის მარმას დაბადებას. პატარა ქალბატონს ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ დაიკო ბარბარესმან და ბიძამვილებთან ერთად. მის მშობლებს შიძირის და რამაზს კი - აკვანთა სიმრავლეს, გახარებას შვილებთან და ახლობლებთან ერთად და წარმატებებს შრომით საქმიანობაში. თქვენ მოსიყვარულე და მზრუნველი პაპა-ბებია ხართ და კვლავაც სიკეთე და სიხარული არ მოგიშალოთ ღმერთმა.

პატივისცემით, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები.

ამინდი		დედოფლისწყარო		კვირა					
ორშაბათი 16.01	სამშაბათი 17.01	ოთხშაბათი 18.01	ხუთშაბათი 19.01	პარასკევი 20.01	შაბათი 21.01	კვირა 22.01			
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე		
0°	-1°	1°	0°	-1°	-2°	-3°	-5°	-6°	-8°

გამომცემელი შპს „შირაპი“ ლირექტორი ინგა შილაშვილი
რედაქტორი ნაირა გომილაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლფია: ლალი მხრინაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ყურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათია ზოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.